



La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

AVRIL

1934—N° 100

აპრილი

1934 წ.

№ 100

დამოუკიდებელი საქართველო

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

შ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—მეასე ნომრის გამო.
 ნ. ქვრიანი—შუაგულ ევროპაში.
 კან მარტენი—მგლები საცხვარეში.
 ზავის საერთაშორ. ბიურო საქ. სასარგებლოთ.
 ისარი—რა ხდება საქართველოში.

ბ. არიძე—რეგენული გამოგონება.
 უცხოეთის მიმოხილვა.
 ნაური—წერილი ამერიკიდან.
 ამერიკელი უელსი საბჭ. კავშირის შესახებ.
 უკრაინელთა შორის. და სხვ.

მ ე ა ს ე ნ ო მ რ ი ს გ ა მ ო .

«დამოუკიდებელი საქართველო» გამოდის დღეს მეასე ნომრის წარწერით, რაიცა მოასწავებს იმას, რომ ის ცოცხლობს ასი თვე ანუ ოცდასამი წელიწადზე მეტი. სასიხარულოა ეს გარემოება, მაგრამ, შეიძლება, სამწუხაროც. სასიხარულო იმით, რომ ჩვენს ემიგრანტულ უხეირო პირობებში შევძელით თვიდან თვე, წლიდან წლამდე გამოგვეცა განუწყვეტლივ ორგანო; სამწუხარო იმით, რომ სამშობლოს ტყვეობა ასე დიდ ხანს გრძელდება და აქედან ჩვენი ემიგრანტობაც.

«დამოუკიდებელი საქართველო» თავიდანვე დასახული იყო, როგორც ბრძოლის იარაღი, მას ზედ აწერია «საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო», მისი ემბლემა მთლიანი ეროვნული ფრონტი, აქედან მისახვედრია მისი უალრესი დანიშნულება: შეუპოვარი ბრძოლა მტერთან, დაუღალავი მხილება მის შავ საქმეთა, სივერაგისა, სიფლიდისა; სამაგიეროთ მუდმივი ზრუნვა ჩვენი ეროვნულ პარტიების ურთიერთ დამოკიდებულების გაჯანსაღებისათვის, კავკასიის ერთა ერთმანეთთან დაახლოებისათვის, მათი ერთი მიზნისკენ მიმართვისთვის.

გამდგარნი არა ერთხელ სწამებდნენ «დამოუკიდებელ საქართველოს» გაუხედაობას, უენობას, რადგან ის არ იყო და არ არის ერთი რომელიმე შემთხვევითი ჯგუფის ორგანო, არამედ ეკუთვნის საქართველოს ეროვნულ მთავრობას და მასთან შემოკრებილ პარტიათა წარმომადგენლობას, ორივე ეროვნულ ცენტრად წოდებულს. რა თქმა უნდა, განეთის მთავარი ვალდებულება იყო და არის ატარებდეს

ეროვნულ ცენტრის ხაზს, გადასცემდეს სისწორით მის აზრსა და საქმეს, რამდენათ ეს შედის პრესის სფეროში, მაგრამ ეს არ უშლიდა და არ უშლის რედაქციას, შემდგარს იმავე ცენტრის წევრებიდან, თვისუფლათ და მიუკერძოებლათ გააშუქოს მიმდინარე კითხვები.

მეორეს მხრით, სულაც არ ვერიდებით ვალდებულებას, რომ გამდგართა მიმართ ჩვენ, შეიძლება, ზედმეტ ლმობიერებას ვიჩენდით, არ ვიკერძობით ისეთივე სიმწვავით და გესლიანათ მათ უსამართლო და არალოიალურ თავდასხმებს. იმაშიც გამოგვტყდებით, რომ ზოგ მათგანს არც კი ვუპასუხებდით, იმდენათ უგუნური, უპასუხისმგებლო გვეჩვენებოდა მათი პრეტენზიები. ყოველ შემთხვევაში, განეთის ცდა იყო, რაც შეიძლება ნაკლები ადგილი დაეთმო შინაურ კამათისთვის და მისი შუბი მუდმივ მიშვერილი ყოფილიყო გარეშე მტრისაკენ.

ასეთია ქართველი ერის ნება. ერთ წუთსაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მოწოდება ერთი მთლიანი ფრონტისადმი თვით საქართველოდან მოგვივიდა, მან ააფრიალა პირველმა ეს დროშა აჯანყების ქამს, მის ქვეშ განაგრძობს ერი თავის გამირულ ბრძოლას დაუნდობელ მტერთან. ამ მძიმე ისტორიულ მომენტში, როცა ქართველი ერი ვითა სალი-კლდე, მონოლიტი უნდა იდგეს, ყოველი გამოიშავი მუშაობა შიგნით დიდი დანაშაულია ქვეყნის წინაშე. თქვენ ვერ წაიკითხავთ ვერც ერთ მომართვას სამშობლოდან, უბრალო კერძო წერილსაც, რომელშიც გამოიშავი მუშაობა სასტიკათ დაგმობილი არ იყოს.

ხშირია, სამწუხაროთ, შემთხვევა, როცა ესა თუ ის არამკითხველი ბოროტათ სარგებლობს დასავლეთის სიტყვის, წერის თავისუფლებას და თხზავს პროექტებს საქართველოს მომავალ წყობილებისათვის, თითქო ქართველ ერს, როცა ის თავისუფალი და უზენაესი იყო, არ შეექმნას თავისი სახელმწიფო, არ დაწეროს მისთვის კონსტიტუცია. მტერმა შეაჩერა ის, უღელი დაადო თვით ერს, მაგრამ ჩვენთვის დღესაც ისეა სავალდებულო, როგორც გუშინ, ერის უზენაესი ნებისყოფა, მისი კონსტიტუცია. ცვლილებებს, თუ საჭიროა, ერი თვითონ შეიტანს, როცა ის კვლავ თავისუფალი გახდება, ის არის და მარტო ის წყარო უფლებისა.

ამ ქამად კი ყველასათვის და თვითეთლისთვის სამღვთო მოვალეობას შეადგენს ქვეყნის განთავისუფლებას მოახმაროს მთელი თავისი ძალ-ღონე, უნარი, ცოდნა. «დამოუკიდებელ საქართველოსთვის» ეს მოვალეობა გამოიხატებოდა იმაში, რომ მჭიდროთ გადაბმოდა მკითხველს თვით სამშობლოში, მიეწოდინა მისთვის თავისუფალი სიტყვა, გამხდარიყო მჭრელ იარაღად მის ხელში. მტრის მიერ შექმნილი შემხუთავი პირობები, თითქმის შეუძლებლად ხდის რიგიან გარკვევას ადგილობრივ მოვლენებში, მით უფრო უცხოეთის ამბებში, ყველაფერი დახშულია ან დამახინჯებული.

ჩვენ არ ვიცით, რამდენათ ვასრულებდით ჩვენს მოვალეობას; უფრო დასაშვებია, რომ ვერ ვასრულებდით მას სავსებით, მიუხედავად დიდი სურვილისა. მიზეზი ის არის, რომ ფიზიკურათ შეუძლებელია ალღო აუღო რამდენსამე ათას კილომეტრის მანძილზე ყველა იმას, რაც შინ, მის გარშემო, მთელს კავშირში ხდება; კიდევ უფრო ნაკლებ შესაძლებელია სწორათ მიუხედავ ქართველის განცდას ამ სიშორეზე, მის ზრახვებს, შეხედულებას. გადაწყვეტილებას ამა თუ იმ მოვლენის გამო. უბედურება კიდევ ისაა, რომ ქართველი მოკლებულია საშუალებას მოგვაწვდინოს თავისი ხმა, თავისი აზრი.

სანუგეშოთ ისღა გვრჩება, რომ, თუ იშვიათათ მოგვდის მაინც ცნობები ადგილიდან, ზოგჯერ წერილებიც გახეთისთვის, ესენი თითქო ეთანხმებიან ჩვენ მიერ აღებულ ხაზს, თითქო გახეთის მიერ მიცემული სულიერი საზრდო გამოდგომია ერს მის ბრძოლაში. რით აიხსნება ეს, თუ არა იმით, რომ ჩვენცა და ისინიც, ქართველნი აქა და იქ, მიუხედავათ მანძილისა, გულში ვატარებთ ერის სახეობას, მის სვე ბედს, ვზიარობთ იმავე ბარძიმიდან.

მაგრამ ქვეყნის სამსახურისათვის ეს არაა საკმარისი, საჭიროა განუწყვეტელი შესწავლა ცვალებად

პირობებისა ჩვენში, კავშირში, მთელს განათლებულ მსოფლიოში. ჩვენ არა ერთხელ გვეკონებია შემთხვევა გვეჩვენებინა, კონკრეტულ ფაქტების მიხედვით, თუ რა კავშირი აქვს ჩვენი ქვეყნის შედარებით პატარა კითხვას საერთაშორისო დიდ კითხვებთან. ჯერ მარტო ის, რომ რუსეთი თანდათან იჭრება საერთაშორისო ურთიერთობაში, ცხად ყოფს მის მიერ დამონებულ საქართველოს დაინტერესებას ამ ურთიერთობით. საბჭოთა კავშირშიც, მიუხედავათ ბარბაროსულ რეჟიმის უცვლელობისა, არსებობის და ბრძოლის პირობები ასე თუ ისე იცვლება. ასევე საქართველოში, კავკასიაში, რუსეთის მიერ სხვა დამონებულ ქვეყნებში. აი, რა ვეება ასპარეზია ჩვენს წინაშე, რა დაუშრეტელი მასალა ანალიზისთვის, დასკვნებისთვის.

დიდი კადნიერება იქნებოდა ჩვენის მხრით გვეთქვა, რომ ჩვენი გახეთი შესძლებს ამ მასალის ამოწურვას, ოდნავაც მაინც გადამუშავებას. მაგრამ სავალალო ისაა, რომ გახეთი იმასაც ვერ ასრულებს, რაც უკისრნია. დავასახელოთ ორი მიზეზი: პირველი ისა, რომ მკითხველი ხშირათ არ გვაწვდის ცნობებს, წერილებს საქართველოდან, ისეთ ჯოჯოხეთურ პირობებში ცხოვრობს ის; მეორე — აქ მყოფი მწერლებიც არ იჩენენ მაინც და მაინც დიდს მუყათობას გახეთში ითანამშრომლონ.

აწი მაინც, ამ მეასე ნომრის შემდეგ, უნდა გავასწოროთ ეს ნაკლი. გახეთი უნდა იყოს უფრო მდიდარი შინაარსით, ცოცხალი ფორმით, საჭიროა მადლიანი კალამი. ვისაც რა შეგვიძლია, ის უნდა ვაკეთოთ, განსაკუთრებით ჩვენს მკითხველებს მივმართავთ საქართველოში მხურვალე თხოვნით გვიგზავნონ ინფორმაცია სისტემატიურათ, თუ გინდ ნაფლეთ ქალაქზე, გვეწერონ ყველაფერზე, წვრილმანებზეც, რედაქცია შესძლებს მათ გარჩევას, გამოყენებას.

უღარესათ საპასუხისმგებლო მომენტში ვცხოვრობთ, მსოფლიო დიდ ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისის წინა სდგას, არავინ იცის რას უქადის მას ხვალინდელი დღე. ჩვენ უკვე გვესმის საბჭოთა კავშირის სიღრმიდან ჩაგრულ ერთა ბრძოლის ხმა, უცხოეთი ყურს იბერტყავს, არჩევს თანდათან, რომ რუსეთი იგი არ არის, რაც იყო ოდესმე, ეროვნულმა მოძრაობამ მთლათ შესცვალა მისი სახე და ჩქარა გადაიარს მის ნაპირებს, ქართველი ერი ამ მოძრაობაში უკანასკნელი არ იქნება, ის მუდამ წინა რიგში იყო.

გუსურვოთ «დამოუკიდებელ საქართველოს» ღირსეულათ ემსახუროს ერის ბრძოლას თავისუფლებისათვის.



უ უ ა ზ უ ლ მ მ რ ო კ ა უ ი

ავსტრიის სოციალდემოკრატიის დამარცხებამ შუაგული ევროპის პოლიტიკურ ცენტრში დააყენა და გაამწვავა ავსტრიის საკითხი. ვერსალის ზავით ეს ქვეყანა უნდა იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო. მაგრამ ხალხის შეგნება და ნაციონალური შემადგენლობა არ შეურიგდა ასეთ დადგენილებებს და 14 წლის განმავლობაში წარმოებდა ფართე პროპაგანდა გერმანიასან შესაერთებლათ. ეს აგიტაცია უცებ შეწყდა ჰიტლერის გამარჯვებით და ავსტრიის თითქმის ყველა პოლიტიკურ პარტიამ ძველი გზა დასტოვა. ახლა აქ პატრიოტიზმი ნიშნავს არა გერმანიასან შეერთებას, როგორც ეს გუშინ იყო, არამედ პირიქით მისგან განდგომას და საკუთარი სახელმწიფოს შერჩენას. ამ ახალი მიმდინარეობის მთავარი ბოძი სოციალდემოკრატია წაიქცა და მითმთელი პოლიტიკური წყობა ცალგვერდზე გადაექანა, წასაქცევათ. ჰიტლერის მიეცა ახალი მოულოდნელი იმედი, რამაც შეაშფოთა ვერსალელები, პირველ ყოვლისა იტალია და სხვა მისი მოსაზღვრენი.

წარმოიშვა შუაგული ევროპის საკითხი.

ამ ხაზზე ამ ქამათ იბრძვის ორი ტენდენცია: გერმანიის, გერმანელთა მოდგმის შესაერთებლათ და თავისი გეგემონიის გასამარჯვებლათ ბალკანეთამდე; იტალიის, მცირე ანტანტის და სხვა მათ მიმყოლთა, გერმანიის ჩაქერა თავის ახლანდელ საზღვრებში, შუაგული ევროპის ძალთა ახალი გადაჯგუფებით. ამ კონცერტში პირველი კამერტონი უქერია იტალიას, მიუხედავათ მისი იდეური ნათესაობისა ჰიტლერისმთან. იტალიას ურჩევნია მოსაზღვრეთ ყავდეს პატარა უწყინარი ავსტრია, ვინემ მრისხანე გერმანია. ამით ამ დიდი ქვეყნის ექსპანსიას სამხრეთით კარი ეკეტება და ბალკანეთში სამეტოქეო ასპარეზიდან იდევნება. ამ მიზნით იტალია ქმნის პირველ ყოვლისა «სანიტარულ კარანტინს»—დუნაის სახელმწიფოთა ეკონომიურ ბლოკს და თვითონ დგება მის მეთაურათ. ამ ახალი კომბინაციის სარჩულია შაშხადამე არა ეკონომიური ხასიათის. არამედ პოლიტიკურის; ეს აშკარაა მისი შემადგენლობისაგან; ავსტრიის და ვენგრიის ბლოკს ეკონომიურათ არ დაერქმის დუნაის ბლოკი, ვინაიდან მასში არ შედიან დუნაის სახელმწიფოთა უმრავლესობა, ჩეხოსლოვაკია, სერბია, ბოლგარია, რუმინია; სადუნაიო კომბინაცია აქ არაფერ შუაშია, ეს წმინდა ანტი გერმანულ-რასისტული გამოგონებაა, რომელსაც უქერია დუნაის მხოლოდ ერთი-მეოთხედი ნაპირები და გახდა საინტერესო მხოლოდ თავისი გე-

ოგრაფიული მდებარეობით, როგორც ბარიერი იტალიის საზღვრების ჩრდილოეთით დასაცავათ.

თავისთავათ ცხადია, რომ ავსტრიელები კარგათ ვერ ურიგდებიან ამ მოსამსახურის როლს და ფიქრობენ გერმანიიდან თავი დაიფარონ სხვა საშუალებით; ასეთათ დასახულია ამ ქამათ ჰაბსბურგელთა ტახტის აღდგენა და ვენგრიასან ერთათ ერთი მონარქიული სახელმწიფოს შედგენა ძველებური სახისა. ეს ლეგიტიმისტური აგიტაცია ფართეთ წარმოებს და თუ გამარჯვებული რეაქცია მას ჯერ კიდევ არ ეპოტინება, ამის მიხეხია მისი მოსამსახურის როლი, ეშინია იტალიის და საფრანგეთის კოალიციის. ამათ ანგარისში სრულიად არ შედის ჰაბსბურგთა მონარქიის აღდგენა და ძველი ამბავის ისევ წამოწყება. ამ სფეროში მათი ინტერესი უერთდება ჰიტლერელთა შეხედულებას. ეს ერთი იშვიათი შემთხვევაა მათი ერთ ბალანზე მოძოვის.

როგორც ხედავთ, ავსტრიის სოციალდემოკრატია, როგორც ყველა პარტიაზე უფრო შეკავშირებული, მძლავრი და კულტურული, ყოფილა მთავარი სიმაგრე და ხერხემალი ავსტრიის ნამდვილი დამოუკიდებლობის და საკუთარ ფეხზე დგომის. როგორც კი ის მოიშალა, მოიშალა ეს რეალური დამოუკიდებლობა და ქვეყანა გახდა სათამაშო იარაღათ უცხო სახელმწიფო ძალების. ახლა ავსტრიას აღარ აქვს საკუთარი საგარეო პოლიტიკა. აქ რეჟიმის შერჩენა დგას პირველ რიგში, ხოლო ყველა დანარჩენი ნაბიჯები ამ მიზანს ემსახურებიან. ორივე ეს მუშაობა წარმოებს სავეებით ანტიხალხური გზით; ავსტრიელ მოქალაქეთ არავინ არას ეკითხება. აქ საყურადღებოა ის, რომ ჰიტლერელები ითხოვენ «დემოკრატიას», ხალხის თავისუფალ არჩევანს და ორიენტაციის საკითხის პლებისციტით გადაწყვეტას. დღღუხის მთავრობის მთელი მუშაობა მიმართულია სწორეთ ამ მეთოდის წინააღმდეგ, რაიცა ამტკიცებს გერმანული ორიენტაციის სიძლიერეს ერის გულში. რასაკვირელია, პატარა ავსტრიის დამაგრება ასე ცალფეხზე, საცალფეხო ბილიკზე დიდხანს შეუძლებელია და ბოლოს და ბოლოს უნდა ჩავარდეს რაიმე და ვისიმე კალაპოტში, იქნება ეს იტალიის, გერმანიის თუ სხვა რომელიმე უცხო ძალთა აშკარა დამოკიდებულებაში.

ამ პატარა ქვეყნის გარეშემო ამდენი შუღლის და ბრძოლის ატეხა აშკარა მაჩვენებელია გაბატონებული აზროვნების: ევროპის კრიზისის დაძლევის ევროპის შინაური კომბინაციებით. ვინ როგორ გა-

დაჯდება, ვინ ვის დანიშნა—აი უებარი წამალი ეკონომიური სნეულების. მთელი ეს გაუთავებელი კონფერენცია განიარაღების და მის ირგვლივ გაჩაღებული ჭიდილი ნიშნავს აი ამ აღებულ ხაზს—ვერობიული პოლიტიკური კომბინაციებით ძირითადი გაჭირების განკურნებას. ნამდვილათ კი სწორეთ ეს თავის ქერქში ჩაჯდომა, თავის წვენში მოხარშვა არის მთავარი სატიკვარი და მისი კიდევ უფრო გაძლიერებით, ერთიმეორის ძირის მოთხრით, ერთი მეორის დაბმით რანაირათ აყვავდება ეს ქვეყანა, არავინ უწყის. მოუჯექით ამ შუაგულ ვეროპას როგორც გნებავთ, მარჯვნიდან მარცხნით თუ მარცხნიდან მარჯვნივ, ამით ის გაფართოვდება, ახალი ბაზრები შეიქნება, უმუშიერობა გაქრება, არსებული ტერიტორიული და ეკონომიური სახე გამოეცვლება? რასაკვირელია არა, ახალი იქნება მხოლოდ საზღვარი, «პრესტიჟი», სხვა ყველაფერი ძველ გზაზე დარჩება. კიდევ ერთხელ დაიწერება «ვერსალის ზავი» და შემდეგ ისევ დაიწყება მასან ბრძოლა. ეს სიზიფის მუშაობა წარმოსდგება იქიდან რომ სნეული თვით არის თავის ექიმი და სვამს შემცდარ დიაგნოზს. თვითეული ეს საექიმო ექიმი მეზობელში ხედავს თავის ავთმყოფობის მიხეზს და ფიქრობს მისი დასნეულებით თავის გაჯანსაღებას. ეს «ძმათა» ბრძოლა, ამ განათლებული მეზობლების ასე საარაკოთ ურთიერთი გადაკიდება და საერთო ენის დაკარგვა საფრთხეში აგდებს მთელ ვეროპიულ ცივილისაციას, მის უარყოფითი მხარეებთან ერთათ დადებით თვისებებსაც. ძირი მისი აშლილობისა დამარხულია არა პოლიტიკურ ურთიერთობაში, საზღვრების და ტარიფების სფეროში, არა სადამოყნო და სადიპლომატო დამოკიდებულებაში, ვერსალის თუ ახალ და ძველ საზავო პირობებში, არამედ გაცილებით უფრო ღრმა და გარდაუვალ მოვლენაში; ეს მოვლენა დასავლეთი ვეროპის საწარმოვო და სააღებ-მიცემო პირობები. ეს ცნობილი ფირმა რომელსაც «ვეროპა» ეწოდება დეფიციტშია. მის წარმოებას იმდენი ზედნართი ხარჯები დაურჩა რომ შემოსავალი მას ვერ ასწორებს და იძულებულია ძირითადი კაპიტალიდან შეავსოს. ხდება სიმდიდრის გაფლანგვა, დაგროვილი თანხების გაწყალება, საკუთრების ფასების დაცემა, ამავე დროს არავის არ სურს თავის ცხოვრების დონე დასწიოს, შემოსავალის კვალობაზე იცხოვროს. პირიქით, ყველა კლასს, განსაკუთრებით კი პარაზიტულს, ახლა გაუდიდდა მადა და მიადგა სახელმწიფოს—მარჩინეა. ის რაც დღეს საფრანგეთში ხდება საოცარია. სახელმწიფო დეფიციტშია, გამოსავალი

ერთია—ხარჯების შემოკლება. მაგრამ ყველა ვისაც კი ეს ზომა შეეხო ყალყზე დადგა, დეე სახელმწიფო დაიქცეს, ოლონდ კი ჩემს ჯიბეს არაფერი დააკლდეს. ძველი იდეალიზმი, იდეიური გატაცება და პოლიტიკური თავის დადება კვდარია, ყველაფერი გროშებით განიზომება. მაშასადამე ცხოვრების წესი და ხარჯვის რაოდენობა რჩება ძველი, ზოგან ის კიდევაც მატულობს, ხოლო წყარო კი უკნება, ვეროპის სამრეწველო მონოპოლია ისპობა, შორეული ბაზრები ეკარგება, მთელი ძველი საფუძველი ინგრევა, ხოლო ამ დროს ასაფეთქებელ ვულკანზე მჯდარნი კი ერთმანერთს გაუთავებლათ ედავებიან ჩემი სჯობსა. ამ არეუდარევიტ სარგებლობენ ყველა ჯურის ავანტიურისტები და ხელს ითბობენ, პოლიტიკურათ, პარტიულათ, ფინანსიურათ და სხ. დადგა ავანტიურისტების და დემაგოგების ოქროს ხანა. ფეხქვეშ ნიადაგის შერყევა იწვევს თავში გონების შერყევასაც, სალი მხედველობის და პერსპექტივების დაკარგვას და უტოპიების გამეფებას.

აი ამ დროს მოდის გამოღვიძებული შორეული აზია და მოაქვს ძველი კულტურული და საწარმოვო მთლიანობა: პატარა სახელმწიფო ბიუჯეტი, ნაკლები მუქთამუქამლები, იაფი ცხოვრება, იაფი ხელფასი, ერთი სიტყვიტ ვეროპის აღორძინების დროის ეკონომიური და სოციალური ურთიერთობა, რომლის ნიადაგზე დაყრდნობილია ტენიკის უკანასკნელი გამოგონება. იაპონიის სახელმწიფო ბიუჯეტი უდრის 12 მილიარ ნახევარ ფრანკს, ხოლო საფრანგეთის კი 50 მილიარდს; აქ საშუალო კლასები ნადგურდება მძიმე გადასახადებით, მსგავსათ რომის იმპერიისა. აზიის «დემპინგზე» ყვირილი საქმეს ვერ უშველის; აქ არის არა «დემპინგი», არამედ ორი ქვეყნის შეხვედრა. ასეთივე «დემპინგი» იქნებოდა, რომ შესაძლებელი იყოს ძველი, ამ ნახევარი საუკუნის წინ არსებული, ვეროპის წამოყენება და დღევანდელისათვის დაპირდაპირება.

როგორც ხედავთ, ვეროპას ბევრი საბედისწერო საკითხები აქვს მოსავგარებელი, მთელი თავისი არსებობის საფუძველი გადასათვარიელებელი, თავისი სოციალური და ეკონომიური ურთიერთობა ახლათ ასაწყობი, შეცვლილ მოვლით მდგომარეობისათვის ანგარიშის გაწევა და ძველი თავისი ბატონობის და მონოპოლიური მდგომარეობის დაბოლოვება. აღმოსავლეთს შეუძლია უთხრას დასავლეთს—გამდლობთ იმისთვის, რაც კარგი აკეთეთ, ამიერიდან კი ვიყოთ თანასწორნი, ძმა და ამხანაგები...

ნ. ჟორდანია.



მ გ ლ ე ბ ი ს ა ც ხ ვ ა რ ე შ ი)

საბჭოთა კავშირის ერთა ლიგაში შესვლა თუ გარდაუვალი არ არის, ყოველ შემთხვევაში დღის წესრიგში დგას. გაზეთები ამ საგანზე მსჯელობენ, ერთნი მას კვერს უკრავენ, მეორენი გმობენ. ერთი სიტყვით—როგორც იტყვიან—ეს საკითხი «პაერში ტრიალებს»...

საიდან მოდის ეს პოლიტიკური მანიოვრი? მისი სათავე უნდა ვეძებოთ იაპონიისა და გერმანიის ერთა ლიგიდან გასვლაში, რაიცა საშვალეობას გვაძლევს ერთხელ კიდევ გავზომოთ ამ ორი იმპერიის მიერ ჩადენილი ვებერთელა შეცდომა. ქენევისაგან განდგომით მათ გააძლიერეს თავიანთი უშუალო და ყველაზე უფრო გააფთრებული მტერის, საბჭოების დიპლომატიური პოზიცია.

მაგრამ კიდევ უფრო დიდია შეცდომა ჩადენილი სხვა სახელმწიფოების მიერ, რომელთაც პირი იბრუნეს მოსკოვისაკენ. მათ გონიათ, რომ მოხდენილათ იყენებენ ქენევის დაწესებულების მიმართ ძველი დიპლომატიის მეთოდებს და ვერ შეუღწიანთ, რომ ამ გზით ისინი ამზადებენ მოსაპობას იმ პრესტიჟისა, რომელიც კიდევ შერჩენია ერთა ლიგას მისი დიპლომატიის მიხედვით.

ძველი დიპლომატიის მეთოდი?—უეჭველია, როგორც კი ერთ ერთი სახელმწიფო ჩამოშორდებოდა ამა თუ იმ დაჯგუფებას, ეს დაჯგუფება იცვლიდა ორიენტაციას, ეძებდა ახალ დასაყრდნობ წერტილს მისგან გამდგარი წევრის მოქიშპესან. ევროპის ისტორიაში მრავალი ალიანსი შეტრიალებულა. და ამ მოქნილ და საშიშ დიპლომატიურ მანიოვრს რამდენი ომი გამოუწვევია! ერთა ლიგა გაჩნდა, რათა ბოლო მოეღო ომის გამომწვევ ამგვარ საქმიანობისათვის; ის ეყრდნობა ყველა სახელმწიფოთა საერთო სოლიდარობას; და აი დღეს ის უნდათ გადააქციონ 1914 წელს გაკატრებულ ძველ დიპლომატიურ მეთოდების იარაღად!

შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ერთ დღეს ერთა ლიგა შეიარაღებული იქნება ლეგალური და მატერიალური ძალით, რომელიც საშვალეობას მისცემს მას ცხოვრებაში გაატაროს თავისი დადგენილებები. მის განკარგულებაში იქნება პაეროზიდანები, გემები, ჯარის კაცები, რათა ამ ძალის საშვალეობით შესძლოს მან წეს-რიგის კალაპოტში ჩააყენოს ის სახელმწიფოები, რომელნიც მოინდომებენ გაექციენ საერთაშორისო ნებისყოფას. მაგრამ ეს დღე ჯერ კიდევ შორს არის—ჩვენ მას ალბად ვერ მოვესწრებით—და მანამდე კი ერთა ლიგა ეყრდნობა უწინარეს ყოვლისა თავის ზნეობრივ ძალას, იმ ზნეობრივ ძალას, რომელიც ბოლოს და ბოლოს აღმოჩნდა უძლველი საერთო ომში, რომელმაც ერთი მეორის მიყოლით

დარაზმა ხალხები ბელგიის ნეიტრალიტეტის ფეხქვეშ გათელის წინააღმდეგ.

ერთა ლიგამ უკვე დაკარგა დიდი ნაწილი თავის მორალური ავტორიტეტისა, როცა მან საბჭოთა წარმომადგენლები მოიწვია ქენევაში განიარაღების კონფერენციაზე. მთელი ქვეყნის ხალხები უწყოდენ, რომ საბჭოთა კავშირმა უხეშათ დაარღვია თავისუფლათ მიცემული სიტყვა, დახია მის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება. დაიპყრო სიშტებით სახელმწიფო, რომლის დამოუკიდებლობა მან წინასწარ იცნა.

ვილსონის «კე-ზე *) პატივითა და სასიკეთით მოისმინეს საბჭოთა დელეგაციის მიერ წარმოდგენილი საუცხოვო განმარტება აგრესორისა (თავდამსხმელის), განმარტება, რომელიც ზუსტათ უდგება თვით საბჭოთა კავშირის მიერ ჩადენილ საქციელს! მსმენელთ არ ინებეს გაეგოთ თუ რა სასაცილო, რა ცინიკური რამ იყო, როცა ისინი სერიოზულათ სთვლიდენ ცარცვაგლეჯის მოტრფილად მილიტარისტული იმპერიის წარმომადგენელთა პაციფისტურ ლათაიებს. აი მაშინ მიიღეს ქენევის საცხვარეში კრავებათ მოკანძმული რუსულ სტეპების მგლები. განა საკვირველია, რომ ამის შემდეგ ღრმად შერყეულიყო ერთა ლიგის პრესტიჟი ხალხთა საზოგადოებრივ აზრში? დღეს კი კიდევ უფრო შორს მიდიან და ლაპარაკობენ ვილსონის იდეალისტურ დაწესებულებაში უხეში ძალმომრეობის წარმომადგენლობის საბოლოოდ დამკვიდრებაზე. ეს იქნებოდა ერთა ლიგისათვის ლახვარის ჩაცემა, ისეთი ზიანის მიყენება, რომლის შემდეგ იგი ვერ შესძლებდა ფეხზე წამოდგომას. აბა გასინჯეთ: ასეთი აქტების ზოგიერთი შედეგები შეგვიძლია უკვე წინასწარ გავითვალისწინოთ. ბოლშევიკებმა იციან, რომ ისინი ესაჭიროებათ ზოგ დიდ სახელმწიფოებს და, როგორც ამბობენ, ემზადებიან კიდევ წამოაყენონ პირობები მათი ქენევაში მოსვლისა. პირობები? მაგრამ სწორეთ ერთა ლიგამ უნდა დაუსვას მას პირობები: მან კატეგორიული უარი უნდა განაცხადოს მათ მიღებაზე, სანამ საბჭოები სავსებით არ შესცვლიან თავის პოლიტიკის მეთოდებს, სანამ ისინი არ დაუბრუნებენ დამოუკიდებლობას საქართველოს, სანამ ხელს არ აიღებენ სხვა სახელმწიფოებში აჯანყებათა მოწყობაზე!

საბჭოების პირობები? შეუძლებელია, არავითარ პირობებს არ უნდა ქონდეს ადგილი მათის მხრივ. მერე როგორია ეს პირობები? ამბობენ,—და ამას ადასტურებს «L'Echo de Paris»,—«რომ საბჭოები უნდა იქნენ ოფიციალურად ცნობილი ქენევაში წარმოდგენილ იმ სახელმწიფოების მიერ, რომლებსაც ჯერ კიდევ არა აქვთ მათთან დიპლომატიური დამოკიდებულება, როგორც მაგალითად პოლანდია,

*) ეს წერილი დაბეჭდილი იყო «Journal de Genève» ის ამა წლის 27 მარტის ნომერში და ეკუთვნის ამ გაზეთის მთავარ ხელმძღვანელს, ჩვენს მეგობარს ეან მარტენს.

*) ქუჩა, რომელზედაც იმყოფება ერთა ლიგა ქენევაში; მთარგმნელი.

დანია, ფინლიანდია, შვეიცარია და სხვები». რა მიზანი აქვს ამ მანიოვრს? ის, რომ აიძულონ ევ სახელმწიფოები ხელი აიღონ თავიანთ სუვერენობის ერთ უწმინდეს უფლებახზე? თუ აიძულონ «არა» სთქვან და მით თავიანთ თავზე აიღონ პასუხისმგებლობა ზოგიერთ დიდ სახელმწიფოთა ცდის დამარცხებისა? რომელიც არ უნდა იყოს, — პირველი თუ მეორე, — ორივე შემთხვევაში მანიოვრი ოდიოზური იქნებოდა.

ევ სახელმწიფოები — ჰოლანდია, დანია, შვეიცა-

ცია, ფინლიანდია — იმათ რიცხვში არიან, რომელნიც ერთგულად ემსახურებოდენ ერთა ლიგას მაშინ, როდესაც მრავალი სხვები, პირიქით, მას თვითონ იმსახურებდენ. თუ მართლა ფიქრობენ შელახონ მათი უფლება — თვითონ გადასწყვიტონ თუ ვისთან სურთ იქონიონ დიპლომატიური ურთიერთობა — მათი ერთად ერთი პასუხი იქნება: «აირჩიეთ საბჭოთა კავშირსა და ჩვენს შორის; იმ დღეს, როდესაც საბჭოები შემოვლენ ერთა ლიგაში, ჩვენ იქედან გავალთ».

ზავის საერთაშორისო ბიურო საქართველოს სასარგებლოთ

«ზავის საერთაშორისო მუდმივი ბიუროს» მოხსენებაში 1933 წლისათვის ვკითხულობთ:

«ოთხთა პაქტის ხელის მოწერამ, რაიცა მოხდა ყველასათვის ცნობილ პირობებში, შემთხვევა მოგვცა ერთხელ კიდევ გამოვსულიყავით საქართველოს სასარგებლოთ. 19 ივლისს ჩვენ მიემართეთ ბნ დალადიეს, მაშინ საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარეს, შემდეგი წერილით:

«ზავის საერთაშორისო ბიურო წინასწარ მოხარულია იმ კარგი შედეგის გამო, რომლის მოტანაც შეუძლია ოთხთა პაქტს, თუ ის გატარებულ იქნა საფრანგეთის მიერ წამოყენებულ პირობების დაცვით და იმ აზრით, რომელიც თქვენს მთავრობას ახასიათებს.

«ჩვენი სიხარული კიდევ უფრო ცხველი იქნება რომ შეგვეძლოს იმედი ვიქონიოთ, რომ ეს პაქტი არამც თუ მოსაბძს გაუგებრობის მიზეზებს ოთხ ხელის მომწერთა შორის, არამედ ხელს შეუწყობს გამოსწორებას ზოგიერთ უსამართლობათა, ჩადენილთ წინათ, უფლებისა და ხელშეკრულებათა ფხვეშ გათელვით.

«ამას წინათ საფრანგეთის მიერ რუსეთთან დადებული ფაქტის ხელის მოწერამ იქნებ საშუალება მისცეს მას გამოიყენოს თავისი გავლენა საბრალო საქართველოს სასარგებლოთ, რომელიც უკვე მრავალი წლის განმავლობაში მოკლებულია თავის დამოუკიდებლობას, თუმცა რუსეთმა მას ხელშეუხებლობის გარანტია აღუთქვა. განა წარმოსადგენია მყარ ზავის განმტკიცება სანამ ამგვარი, უფლების დამრღვეველი მდგომარეობა არსებობს, სანამ ენევაში გამოცხადებული სამართლიანობა ფხვეშ ითელება მათ მიერ, ვინც მის დაცვას იჩემებს?»

«ჩვენ ვიცით, ბატონო მთავრობის თავმჯდომარე, თუ როგორია თქვენი განწყობილება ამ საქმისადმი. ჩვენ ვიცით, რომ სამართლიანობის ერთგული დამცველი, თქვენ არ გაუშვებთ შემთხვევას და, როგორც კი დადგება შესაფერი მომენტი, იტყვიოთ საჭირო სიტყვას, რათა უზრუნველ ყოფილ იქნას სამართლიანობის აღდგენა. რაიცა თქვენს მძლავრ პარტნერსაც მთელი ქვეყნის მადლობას მოუპოვებდა.»

რ ა ხ დ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი

(წერილი საქართველოდან)

გარეგვა-გლეჯა ტფილისში.

უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით კი წელს, მცარცველთა ბრბოები აშკარად დანავარდობენ ტფილისის ქუჩებში. ცარცვავენ მოქალაქეებს დლით და ღამით, ქუჩებში და ოჯახებში. დამახასიათებელია ცარცვის მეთოდები. ჩვენ არ შევჩერდებით ჯიბიდან ნივთების და ფულის ჩუმად ამორთმევაზე, არ შევჩერდებით აგრეთვე ბინების გაქურდვის შემთხვევებზე. ვინაიდან ასეთ მოვლენებს წარსულშიც ჰქონდა ადგილი. ჩვენ შევჩებებით მხოლოდ ახალი სახის ცარცვა-გლეჯას, რომელმაც მასიური ხასიათი მიიღო და ისეთივე სოციალური ხასიათი მიიღო, როგორც სიღარიბემ, უმუშევრობამ და სხვა.

• როგორ ხდება ასეთი ცარცვა-გლეჯის შემთხვევები?

სასურსათო მალაჩიების წინ ჩასაფრებული არიან ჯგუფ-ჯგუფათ 15-20 წლის უპატრონო, ჩამოგლეჯილი და შემურული ახალგაზდები. როგორც კი მალაჩიიდან გამოვა მყიდველი, თუ დაუნახეს ხელში, ან კალათში ნაფაჭრი სანოვავე, გამოვლევჯენ ხელიდან და გარბიან. ამ მხრივ დაბრძოლებული ჰყავთ უმთავრესად ქალები და მოხუცი მამაკაცები. მიდინხართ ქუჩაში და გაცარცული დიასახლისის ყვირილი ხან ერთი კუთხიდან გაისმის, ხან მეორედან, ადმინისტრაცია უძღურია ამ ბრბოსთან ბრძოლაში. ბრბო შესდგება დამშეულ გუბერნიებიდან გადმონხვევილ რუსებიდან. ყრიან დღე და ღამ ქუჩებში



და ფარდულებში, იკვებებიან მხოლოდ ნაცარცვით და მათხვრობით.

არიან მეორე ტიპის მცარცველები. ესენი ცარცვავენი ღამით ქუჩაში და სახლში მოსახლეობს. ქუჩაში ხდიან ტანთსაცმელს გამვლელ-გამომვლელს, ხოლო სახლებში შედიან გეპეუს აგენტების ფორმაში გადაცმულნი. ჯერ სახლის პატრონს მოსთხოვენ ვალიუტას და ოქროს ფულს, შემდეგ შეუდგებიან ჩხრეკას და რაც რაიმე ძვირფასეულობას იპოვიან სახლში: ოქროს ნივთებს, ვერცხლისას, სულ ერთია იქნება ეს სამკაული. კოვხები თუ სხვა, თან მიაქვთ. პირველ ხანებში ამით კმაყოფილდებოდნენ. ეხლა კი ან ნივთებთან ერთად მიაქვთ ტანსაცმელი, ნოხები და რაც მოეწონებათ. ხშირად მცარცველთა ეს ჯგუფები ავტომობილით დაბრძანდებიან და ავტომობილით მიაქვთ ნაცარცვი. გაცარცულს კი უტოვებენ ნაცარცვის სიას და ბრძანებას, რომ მეორე დღეს დილით გამოცხდდეს გეპეუსი ჩვენების მისაცემად. მოსახლეობისათვის ძნელი გასარჩევია თუ ვინ არიან ეს პირები—მართლა გეპეუს აგენტები თუ ამ აგენტების ფორმაში გადაცმული ყაჩაღები, ვინაიდან ასევე ხშირი დაუპატრიყებელი სტუმრები არიან გეპეუს თანამშრომლებიც, რომელნიც ჩხრეკენ და ართმევენ მოსახლეობას ვალიუტას და ოქროს. გეპეუს აგენტებიდან დაშინებულ და ტერორის ქვეშ მყოფ მოსახლეობას იმის უნარიც კი აღარ შესწევს, რომ მცარცველები გაარჩიოს ხელისუფლების აგენტებიდან.

ტრანსპორტი ხრულადად მიდიხდა.

რკინის გზის ტრანსპორტის დეზორგანიზაცია უმალეს წერტილს მიიღწია. დღე ისე არ გავა, რომ არ დაიმტვრეს ან სამგზავრო, ან საქონლის მატარებლები და უამრავი ხალხი არ იმსხვერპლდეს. მაგრამ არის ისეთი დღეებიც, რომ ორ სამ ასეთ შემთხვევას აქვს ადგილი. ხელისუფლება მხოლოდ ადმინისტრაციულ ზომებს მიმართავს და მეთრეხების და მემანქანეების დასჯით უნდა ამ მოვლენის თავიდან აშორება. ახლა თითოეულ სადგურზე გეპეუს განყოფილებებიც კი დაარსა და ასე სახალხო მეურნეობის ყველაზე უფრო მგრძობიარე და რთული დარგი საცხებით გეპეუს განკარგულებასა, მაგრამ ამითი არც მატარებლების დამტვრევის შემთხვევები შემცირებულა და არც ადამიანთა მსხვერპლი. წინააღმდეგ. ეს მოვლენა თანდათან ძლიერდება და ასე იქნება მანამდე, ვიდრე მთავრობა მიზნების ნაცვლად მხოლოდ შედეგებს ებრძვის, ტრანსპორტის ასეთი მოშლის მთავარი მიზეზი კი არის ერთის მხრივ ტრანსპორტის მუშათა უნუგეშო ნივთიერი და უფლებრივი მდგომარეობა. ხოლო მეორეს მხრივ—რკინის გზების მმართველობის სრული დეზორგანიზაცია.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ რკინის გზის ტრანსპორტი სახალხო მეურნეობის ყველაზე უფრო მგრძობიარე და სათუთია. ერთი მუშაკის უბრალო შეცდომას, პატარა დაუდევრობას შეუძლია მოიტანოს ადამიანთა უამრავი მსხვერპლი, დიდი მატერიალური ზარალი. მთავრობა და მისი აგენტები ამ კითხვას ასე არ უყურებენ. რკინის გზის მუშა-მოსამსახურენი

უკიდურეს ნივთიერ გაქირვებას განიცდიან. სახალხო მატარებლის კონდუქტორი თვეში 83 მანეთს იღებს ხელფასად, ანუ ტორგსინის კურსით 1 მ. 66 კ. ასეთივე მდგომარეობაში არიან მემანქანები, მეთრეხები, გზის ოსტატნი და ლიანდაგის გუშაგი მუშები. შემკეთებელი მუშების ხელფასზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ამ ხელფასით ცხოვრება საბჭოთა რესპუბლიკებში ყოვლად შეუძლებელია. იწყება მუშა მოსამსახურეების გაქცევა. ვარბიან სოფლად; სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში ძველი კვალიფიციური მუშებიდან იშვიათად თუ ვინმე დარჩა. მთავრობამ მიმართა სახ. მეურნეობის სხვა დარგებში ნაცად საშუალებას. იმის მაგივრად, რომ გაეუმჯობესებია რკინის გზელთა ნივთიერი და უფლებრივი მდგომარეობა, მან ადმინისტრაციულ ზომებს მიმართა. მუშა-მოსამსახურენი იძულებით მიაგრა თავის დარგს და შემოიღო შრომის მონური ორგანიზაცია. აი ამ დღიდან იწყება რკინის გზელთა შორის «ახალი» ცხოვრების შეგუება, შემოსავლის ახალი წყაროების გამოხატვა. რაც გამოიხატა ერთის მხრივ რკინის გზებზე მასიურ ქურდობაში. პირველიად ქურდობა ხდებოდა ვიწრო ფარგლებში. მაგალითად, ყუთში, ვახსნის დროს, საქონლის ნაცვლად აღმოჩნდებოდა ქვეები, ან მიწა. უმთავრესად იკარგებოდა სანოვანე და საოჯახო ნივთები. ამ პერიოდში ქურდობა ხდებოდა კერძო პირთა ანგარიშზე. ხელისუფლება ამ მოვლენას ყურადღებას არ აქცევდა. ეს, ასე ვთქვათ, რკინის გზელთა ხელფასის დასამატათ ითვლებოდა. მაგრამ მალე ამ მოვლენამ სულ სხვა ხასიათი მიიღო. ეხლა იკარგება არა წვრილმანი ნივთები და ანანათები, არამედ მთელი ვაგონები. ვაგონი, დატვირთული საქრთი, მანუფაქტორით, ლურსმნით და სხვა სამრეწველო დეფიციტურ საქონლით, რომელიც კერძო პირებს კი არ ეკუთვნის, არამედ სახელმწიფო დაწესებულებებს. ისეთი მასიური ხასიათი მიიღო ასე დიდი მასშტაბით ქურდობამ, რომ მთავრობა იძულებული იყო გამოეცა 1933 წ. 7 აგვისტოს კანონი, რომლის ძალით სახელმწიფო ქონება აღიარებული იქნა «წმიდათა წმიდათ» და ამ საშლეთო საკუთრების ხელის შემხებთ სიკვდილით დასჯა მოვლით. მთავრობამ ფეხზე დააყენა მთელი თავისი აპარატი, გეპეუს, პროკურატურა, მოსამართლენი და გაჩაღდა მაჩვენებელი პროცესები, ასობით ხვრეტდნენ რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებს. იყო შემთხვევები, როცა სასამართლოს სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოქონდა 100 მანეთად ღირებული საქონლის მოპარვისათვის.

რკინის გზელთა მეორე ნაწილი, რომელსაც ქურდობის არც უნარი ჰქონდა და არც უნდოდა, იძულებული იყო და არის დღესაც თავისი მუშაობა რკინის გზაზე გამოიყენოს არა იმიტომ, რომ ეს მისთვის ცხოვრების წყაროა, არამედ ის საშუალებას აძლევს მას ვაქრობისას. ერთ სადგურზე იყიდოს, მეორეზე გაყიდოს, იჯაროს ნავთით. ასანთით, სურსათ სანოვანით და სხვა. უნდა ნახოთ რა ხდება ამა თუ იმ სადგურზე, სადაც სოფლელებს რამე გამოაქვთ, როცა მატარებელი გაჩერდება. რკინის გზის მოსამსახურ-



რენი დატვირთული ტომრებით, კალათებით და ტიკებით ერთ ფაცაფუცში არიან.

ამაწიარად რკინის გზელთა ერთი ნაწილის გონება და აწირი მხოლოდ იმის გარშემო ტრიალებს, თუ სად რა გამაოაძროს და როგორ მოიპაროს. ამ ნაწილისათვის რამდენათაც მეტია რკინის გზებზე არეგ-დარევა, კატასტროფები და სხვა, მით ხელსაყრელია, ვინაიდან მღვრიე წყალში თევზის დაქერა ფრიად ადვილი ხდება. მეორე ნაწილი გართულია «კომერციული» საქმიანობით და თავის პირდაპირ მოვალეობას ყურადღებას ვეღარ აქცევს. ასეთმა დემორალისაციამ მოიცვა რკინის გზის მუშაკთა თვალსაჩინო ნაწილი. ასე ჩამოქვეითდა მუშათა კლასის ეს, ერთ დროს საუკეთესო, არმია. ყოველივე ამის შედეგია შრომის დისციპლინის სრული დეზორგანიზაცია, მისი აბსოლიუტური მოშლა. მერე ვინაა ამაში დამნაშავე? ვისი და რისი მეოხებით ხდება ყოველივე ეს?

დამნაშავის მონახვა ძნელ საქმეს არ წარმოადგენს. დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკაა წყარო ამ ბოროტებათა. მან მოსპო ძველი; გაწვრთნილი და კვალიფიციური კადრი რკინის გზის მუშაკთა. მოსპო ფიზიკურად ამ კადრის ის აქტიური ნაწილი, რომელიც ვერც რკინის გზებზე მთავრობის მიერ შემოღებულ პირობებს ურთგდებოდა და არც აშკარა ბრძოლის უნარი შესწევდა, ყოველივე ხერხს მიმართავდა, რომ თავი დაეღწია ამ პირობებიდან და რკინის გზიდან გაქცეულიყო.

ამაწიარად, ხელისუფლებამ თავისი უგნური პოლიტიკის მეოხებით თვითონვე მოსპო და გაანადგურა რკინის გზის საქმიანობის ძირითადი კადრები. მეორეს მხრივ, ხელისუფლებამ გასწმინდა რა რკინის გზის მუშაკთა შემადგენლობა სიტყვის შემბრუნებელ პირობიდან, საქმიან ხალხიდან და მათ ადგილას ჩააყენა რა თავისი ხალხი, პოლიტიკურად საიმედო, მაგრამ ზნეობრივად საეჭვო და საქმის უცოდინარი, რკინის გზებზე შექმნა შრომის მონური პირობები და გააძევა შიმშილი და უუფლებლობა. ხელისუფლებამ თავისივე პოლიტიკით შექმნა რკინის გზებზე ქურდობა და ფარული ვაჭრობა და ამ ხალხის აბსოლიუტური უმრავლესობა, რომელიც დღეს ქურდობს და ცარცვავს რკინის გზას, იტაცებს სახელმწიფო და კერძო პირთა ქონებას, სხვა პირობებში ისეთივე პატიოსანი მუშები იქნებოდნენ, როგორიც იყვნენ მათი წინა თაობა.

მოსპეთ რკინის გზათა შრომის მონური პირობები, მოსპეთ შიმშილი და სიტუტვლე და თავის თავად მოისპობა ქურდობა, მოისპობა ფარული ვაჭრობა და ამით აღსდგება შრომის დისციპლინა, თავისი მოვალეობის შეგნება.

1933 წლის 7 აგვისტოს კანონი საქმეს ვერ უშველის.

რომ სასჯელის სიმკაცრეს სოციალური მოვლენის მოსპობა შეეძლოს, მაშინ ჩინეთში არც ერთ ბოროტმოქმედების შემთხვევას ადგილი აღარ ექნებოდა.

კოლექტივიზაცია.

კომუნისტური პრესა ერთ ამბავშია. ყოველ დღე იბეჭდება არშინიანი წერილები იმის შესახებ თუ რა რიგ სწორი გამოდგა სტალინის მიერ აღებული ხაზი კოლექტივიზაციის საქმეში.

რაშია საქმე? რა აქვს საბჭოთა ხელისუფლებას საამაყო ამ საქმეში? აი რა მოხდა. წელს ზოგიერთ კოლექტიურ მეურნეობებში, მის წევრებს, ერთ მუშა დღეში, ათიდან ცამეტ გირვანქამდე ხორბალი ერგოთ. აი ალიაქოთის საბაბი. აქედან საბჭოთა ეკონომისტებს გამოჰყავთ დასკვნა, რომ კოლმეურნეობაში ძალით შერევილი გლეხები უკვე დამდიდრდენ და მათზე ბედნიერი არავინ არის. ამ ტრახანში ერთი რამ მართალია. შარშან კოლმეურნეობის წევრები შიმშილით წყდებოდნენ ბევრ კოლმეურნეობას სამი თვის სარჩოც არ მოსვლია და ისიც მთავრობამ წაიღო. წელს მოსავალი შედარებით კარგი იყო, მაგრამ 13 გირვანქა ხორბალი ერთ მუშა დღეში სულ სხვა მიხნებით ერგოთ კოლმეურნეობის წევრებს.

როგორც ვიცოტ, 1933 წლის განაფხულზე, როცა კოლექტივებში შიმშილმა უმაღლეს წერტილს მიაღწია, მთავრობა იძულებული იყო რეპრესიები შეენელებია კოლექტივიდან გასვლის მსურველი გლეხებისადმი. ამას შედეგად მოჰყვა კოლექტივების დაცარიელება: 60-80 წევრიდან კოლექტივებში რჩებოდა 15-20 წევრი და რჩებოდნენ უმთავრესად ისეთნი, რომლებსაც, თუ კოლექტივიდან გავიდოდნენ, განკულაკება მოელოდათ. კოლექტივიდან გასვლანზე ნება დართეს, მაგრამ წასულ წევრებს აღარც ხარკამერი დაუბრუნეს, აღარც ურემი და გუთანა და აგრეთვე შემოდგომით ნახნავ ნათესებზედაც ხელი ააღებინეს. მიუხედავად ამისა, გლენკაცობამ, როგორც კი გაიგო, რომ კოლექტივიდან გასვლის გამო სახლიდან აღარ გამოასახლებენ. მიატოვა ყველაფერი, რაც კი შეტანილი ჰქონდა კოლექტივში და კერძოდ იწყო მუშაობა. აი ეს 60-80 კაცის ნახნავ-ნათესების მოსავალი შემოდგომანზე გაიყვეს 15-20 კაცმა. ასევე მოხდა მუშა საქონლის შესახებაც. საბჭოთა სტატისტიკა ზეიმობს. 1932 წლის დასასრულში კოლექტივის ერთ წევრზე საშუალოდ ამდენი და ამდენი მუშა საქონელი მდიდოდაო, ესლა კი ერთი სამად მდიდისო. დასკვნაც მზად არის. კოლმეურნეობის წევრები მდიდრდებიანო. მაგრამ თუ მუშა საქონლის საშუალო რიცხვს გამოვიყვანთ არა 15-20 წევრზე, არამედ 60-80 კაცზე, სურათს სულ სხვანაირს მივიღებთ. ზრდის ნაცვლად მივიღებთ თვალსაჩინო შემცირებას.

ბოლშევიკური მეთოდით შექმნილი სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების გამდიდრება ზღაპარია, გამოგონილი თვალების ასახვევად, ევროპიელების მოსატყუებლად. წინააღმდეგ, მთავრობის ეს საწვე-ლი ძროხა თანდათან შრება და მქლევედება. განკულაკებულ მეურნეთა ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი, რომელიც კოლექტივებს გადაეცათ. თანდათან ნიავდება, კვდება და ხდება. ამას გრძობს მთავრობა. იგი ხედავს, რომ კოლექტივები თანდათან დატაკდებიან, ხოლო გადატაკებულ მოსახლეობი-



დან ხაზინაც ველარაფერს მიიღებს. მთავრობა ერთად ერთ გამოსავალს ასეთი მდგომარეობიდან ხედავს შრომის მონურ ორგანიზაციის დამყარებაში. ამ მიზნით გახსნა მან სამანქანო სატრაქტორო სადგურებთან გეპეუს განყოფილებები, რომ ტერორის ქვეშ ამუშაოს კოლექტივის წევრები.

ქართული ენის ბედი.

თანახმად ცაკის დადგენილებიან: ბორჩალოს, ახალციხის, ახალქალაქის და ყარაიანის რაიონები ვალდებული არიან მიწერ-მოწერა აწარმოონ რუსულ ენაზე. გარდა ახალქალაქის რაიონისა, დანარჩენ აქ ჩამოთვლილ რაიონებში უმეტეს ნაწილად ცხოვრობენ თათრები, რომლებმაც ქართული უკეთ იციან. ვიდრე რუსულად, რუსული ენა გაიხსნა სახელმწიფო ენათ აგრეთვე მთელმა რიგმა ტფილისის დაწესებულებებმაც: ასეთებია საქართველოს პროფსაბჭოები, საქ. სანქლმწიფო საეგემო კომისია, საქ. სახ. მეურნეობის აღრიცხვის სამმართველო, ტფილისის მაუდის ფაბრიკა, 26 კომუნარის სახელობის ქარხანა, თამბაქოს ტრესტი და მისი ქარხნები, სარეწაო კოოპერაციის ყველა არტელები და სხვა. ტფილისის ტრამვაის დირექციამაც სამგზავრო ბილეთები რუსულ ენაზე გამოუშვა.

ამ დაწესებულებებში რუსული ენის შემოღებამ უკვე გამოიღო სათანადო ნაყოფი. ქართველ მოსამსახურეების რიცხვი თანდათან კლებულობს, რუსების, ებრაელების და სომხების კი იზრდება. ამ ბოლო დროს თავისუფალი ადგილები მისაღებ პირს, თუ იგი ქართველია, დაწესებულების უფროსი აშკარად ეუბნება: «მიგიღებ თუ რუსული ენა ზედმიწევნით კარგად იცითო». ამ ნაირად ქართველი თავის ქვეყანაში უადგილოდ რჩება მხოლოდ იმიტომ, რომ მან უცხო ენა თავისუფლად არ იცის.

საინტერესოა ვიცოდეთ, საკანონმდებლო ორგანოების დადგენილებით მოხდა ყველაფერი ეს, თუ ქართული ენა საქართველოს დაწესებულებებიდან ამ დაწესებულებების უფროსებმა გააძევეს თავისი საკუთარი ინიციატივით? ან შეიძლება ეს მოხდა უბრალო «პრაქტიკული» მოსაზრებით: გაეადვილებიან სამსახურში მოწოდება უმუშევრად დარჩენილ ქართული ენის არმცოდნე პირებისათვის?

ამნაირად, ქართული ენის სახელმწიფო ენათ აღიარება ქალღმერთ დარჩა; ფაქტიურად იგი დევნილია ისე, როგორც თვით ქართველი ერი.

იხარო.

რ ე ვ ვ ე შ ლ ი გ ა მ ო გ ო ნ ე ბ ა

ცნობილია, რომ კომუნისტების არც სირევგენსა და არც ფანტაზიას საზღვარი არა აქვს, მაგრამ განსაკუთრებით განსაცვიფრებელია მათი ფანტაზია და გამოგონების უნარი, როდესაც დღის წესრიგში დაუდგებათ მათი ბოროტი ნამოქმედარის შედეგების სხვისთვის გადაბრალების საკითხი. ასეთ გასოცარ გამოგონების ერთ საუცხოვრო მაგალითს იძლევა «წუნის მკეთებელთა კონფერენციის» მოწვევა; რო-

გორც ამას გვაუწყებს სამი რეგენის მიერ (ან. ყურუა, ნ. ფხაკაძე და გ. აროსია) ხელმოწერილი ქართული «კომუნისტის» 7 სექციანი წერილი, მკერავტრეს ტის მეორე ფაბრიკის ბრძნთ გადაუწყვეტიათ მოიწვიონ ქკუაში მყოფ ადამიანისათვის სრულიად უჩვეულო კონფერენცია. წერილის ავტორების მოთხრობით,

«არ არის საჭირო წუნისმკეთებელთა კონფერენციის დელეგატების არჩევა. თვითეული მუშა, რომელიც კონფერენციისათვის მოსამზადებელ პერიოდში წუნს გამოუშვებს—გახდება ამ სამარცხვინო კონფერენციის დელეგატი.

კონფერენციას, უკვე არჩევის წესით, დაესწრებიან დამკვერელებიც, რომლებიც ხარისხისათვის ბრძოლის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან. მაგრამ ისინი იქნებიან, ასე ვთქვათ, ერთის მხრივ «სახოგადობრივი ბრალმდებლები», ხოლო მეორეს მხრივ დამკვერელები მოუთხრობენ წუნის მკეთებლებს, თუ როგორ შეიძლება ხარისხის გაუმჯობესება და წუნის სრულიად აღმოფხვრა.

წუნის მკეთებელი დელეგატებისათვის მოეწყობა სპეციალური ადგილები: შავი სკამები, სათანადო კარიკატურები და გამკიცხავი ლოზუნგებით.

ასეთია სახოგადობრივი სამსჯავრო, სადაც წუნისმკეთებელი დამკვერელთა ტრიბუნლიდან ისმენენ საბრალდებულ სიტყვას. თვით წუნისმკეთებლებს მხოლოდ კონფერენციის დასასრულს ეძლევათ ლაპარაკის უფლება. რათა პირობა დასდონ, რომ გარკვეულ ვადაში მთლიანად აღმოფხვრიან წუნს. კონფერენციას შეუძლია გამოუსწორებელი წუნისმკეთებლების წარმოებიდან მოხსნის, ან მათ მიმართ სხვა მკაცრი ორგანიზაციული ღონისძიებების მიღების შესახებ საკითხი დააყენოს საწარმოს ადმინისტრაციის წინაშე.

კონფერენციის დასასრულს მოხდება დელეგატების დაჯილდოება: დამკვერელების—ფულით და სხვა ნივთებით, ხოლო წუნისმკეთებლების—«წუნის ორდენით» და ქილოფის დროშით».

ასეთი რამის გამოგონება შეიძლება დასაშვები ყოფილიყო უსაქმო რეგენთა გასართობად, რომ შიგ ჩაქსოვილი არ იყოს ადამიანის პიროვნებისა და ღირსების უაღრესი დამკირება და უდიერი შელახვა. კომუნისტები კი ამ სამარცხვინო საშვალებას მიმართავენ თავიანთ ბოროტი ნასაქმის მისაჩქმალავათ.

კომუნისტური გაზეთები სავეცა ცნობებით იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის წარმოება უმთავრესად წუნდებულ პროდუქციას იძლევა. კოოპერატიულ მაღაზიაში მუშას ვერ უშოვია ისეთი შარვალი, რომელიც ჩასაცმელად ვარგოდეს; «ზოგი მანქანის ზეთითაა დასვრილი, ზოგს უსწორმასწორო ტოტები აქვს, ან სხვადასხვა ფერი ჯიბეები, ზოგი განეულია შეკერვის დროს. ზოგჯერ ძალიან უშნოდაა ნაკერი: წალმა უკულმა, მეჩხერად». ასეთივე ნახელავი ყოფილა ხალხთბიცი. საეპროების თარობი ავსებულია უვარგისი ქუდებით, «ლენინკებით», რომელთაც თურმე არავინ ყიდულობს. ფაბრიკა კი

ყოველ დღე 1000 ცალზე მეტ ასეთ ქუდს ამზადებს. «მეორე სამკერვალო ფაბრიკა ვერ დაიტრიაბანებს არამც თუ ასორტიმენტით—ხარისხითაც. გასულ წელს პირველმა საამქრომ გამოუშვა 9.556 ცალი გადასაკეთებელი ნახევარ პალტო, რაც გამოშვებული საქონლის საერთო რაოდენობის 7,9 პროც. შეადგენს, ხოლო გადასაკეთებლად გამოუსადეგარი—4.937 ცალი ნახევარ პალტო, 4,1 პროც. მეორე საამქრომ (შარვლებისა და კაბების) პირველი სახის წუნი გამოუშვა 3,6 პროც. ხოლო მეორე სახის—3,4 პროც. მესამე საამქრომ (ხალათების) პირველი სახის წუნი გამოუშვა 4,9 პროც., მეორე სახის—3,5 პროც. ასეთი მდგომარეობა იყო სხვა საამქროებშიც».

ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია უკლებლივ ამოვწეროთ ყველა ის ცნობები წუნდებულ ფაბრიკატების გამოშვების შესახებ, რომელიც თუნდაც «კომუნისტის» მარტო ერთ ნომერშია (№ 43, 1934 წ.) ჩამოთვლილი. აქ მოყვანილი ორიოდე ამონაწერიც და წერისლების ისტორიული კილო სრულიად საკმაოდ ნათელს სურათს იძლევა მდგომარეობის შეუცდომლად დასაფასებლად.

ასეთი მდგომარეობის მიზეზებს იგივე «კომუნისტის» ხაზგასმით განმარტავს: «დაუშვებელი უყურადღებობა როგორც ტექნიკური ხელმძღვანელობის, ისე მუშის მხრივ, შრომის სუსტი დისციპლინა, მუშათა დაბალი კვალიფიკაცია და მანქანა-მოწყობილობის არა დამაკმაყოფილებელი ტექნიკური მდგომარეობა». ამ განმარტებიდან სჩანს, რომ მარტო მუშა არაა დამანაშავე წუნდებულ საქონლის გამოშვებაში, მაგრამ «წუნის ორდენსა» და «ჭილოფის დროშას» კი მარტო მას ანიჭებენ საკუთრად.

გულუბრყვილობა იქნება ვიფიქროთ, რომ კომუნისტურ პარტიის მეთაურებმა არ იცოდენ, რომ ყველაზე ნაკლები დანაშაული ამ უცნაური მდგომარეობის შექმნაში სწორედ მუშას უდევს, ხოლო მთავარი დამანაშავე, წყარო ყველა იმ უბედურებათა, რომელიც საბჭოთა კავშირის მოსახლეობას აქვს თავს დატეხილი, ეს არის მათ მიერ შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური რეჟიმი, და კერძოდ შრომის ის მონური პირობები, რომლითაც საბჭოთა კავშირმა თავი ისახელა მთელ სოფლიოში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ შრომის ნაყოფიერება და პროდუქციის ხარისხი პირველ ყოვლისა დამოკიდებულია ხელფასის რაოდენობაზე. მრეწველობის სწრაფი ზრდა-განვითარებით და პროდუქციის მაღალი ხარისხით ცნობილი არიან ის ქვეყნები, სადაც მუშის ხელფასის დონე შედარებით მაღალა დგას. წინააღმდეგ სურათს იძლევიან ის ქვეყნები, სადაც მუშის ხელფასი საცხოვრებელ მინიმუმზე უფრო დაბლა დგას. ამ უკანასკნელთა შორის საბჭოთა კავშირის პირველი ადგილი უჭირავს. მთელს სოფლიოში არ მოინახება მეორე ქვეყანა, სადაც მუშის ხელფასი ისე საზღვარდ მეტი იყო, როგორც ეს არის საბჭოთა კავშირში. როგორც ვიცით «სოციალისტურ» ქვეყანაში მუშის საშუალო ხელფასი თვეში 30-31 ტარგისინის მანეთს უდრის, ხოლო ტარგისინი კი ერთ კილო შაქარს 50 კაპ. ყიდის. სრულიად ველური, მივარდნილი ქვეყნების მოსახლეობა გაცი-

ლებით უკედ იკვებება და უკედ არის ჩაცმულ-დახურული, ვინემ საბჭოთა საქართველოს მუშა მოსამსახურე, ასეთ მდგომარეობაში ჩაყენებულ მუშისაგან ბოლშევიკები მოითხოვენ შრომის ნაყოფიერების მაქსიმალურად განვითარებას და პროდუქციის მაღალ ხარისხს. და როდესაც სიმშრომისაგან ილაჯ გამოლეული ქართველი მუშა ამ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, მას ამასხარავენ, მის ადამიანურ ღირსებას უხეშათ სთელავენ და უნამუსოდ ამცირებენ. ამ დამცირებით და გაბიაბრუებით—«წუნისმკეთებელთა კონფერენციებით», «წუნის ორდენებითა» და «ჭილოფის დროშებით»—ცდილობენ ხალხს თვალი აუხვიონ, თავისი დანაშაული მუშას მოახვიონ და ამ გზით თავიდან აიცილონ დამსახურებული რისხვა მოთმინებიდან გამოსულ მოსახლეობის.

ფუჭი ცდაა, თვალ ახილულ ქართველ მოსახლეობას ბოლშევიკური გამოგონებანი, რაზემ საოცარი და გამაბრუებელი არ უნდა იყვნენ ეს უკანასკნელნი, ვერ დაუხლუნებენ მხედველობას და ვერ მოუსპობენ დამანაშავის უდანაშაულობასგან გარჩევის უნარს. ქართველმა ხალხმა კარგად იცის, რომ ეს დამანაშავე მოსკოვის ყურმტკრილი მონა მოსამსახურე საოკუპაციო ხელისუფლება; იცის აგრეთვე ისიც, რომ სანამ ეს ხელისუფლება იბოგინებს, მას არ ეღირსება ცხოვრების ადამიანური პირობები. აქედან დასკვნაც მოცემულია: სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ქართველი ერის უცხო და შინაურ მტრის წინააღმდეგ, ბრძოლა დაუნდობელი, ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდე.

ბ. არიქე.

უცხოეთის მიმოხილვა.

აზია აზიელებისთვის.

გაიმუშოს განცხადება ტოკიოში, საგარეო სამინისტროს სახელით, ბომბასავით გავარდა. მასზე სწერენ, მსჯელობენ, თათბირობენ, ჯერ არაფერი ითქმის, რა შედეგი უნდა მოყვეს მას ხვალ, ზეგ; შეიძლება მათაც არ იციან ვისაც ენება, გამომწვევმა თუ გამოწვეულებმა. ჩვენც ამიტომ შევჩერდებით მასზე, ასე ვსთქვათ, უკან მიხედვით.

აზია აზიელებისთვის ნიშნავს მონროეს დოქტრინის განაღდების შორეულ აღმოსავლეთში. ტოკიო აცხადებს: მშვიდობიანობისათვის მე ვარ პასუხისმგებელი შორეულ აღმოსავლეთში; მე ვერ დავუშვებ, რომ ევროპას თუ ამერიკას თავისუფლად შემოქონდეს სამხედრო მასალა ჩინეთში, გზავნიდენ იქ ინსტრუქტორებს, წვრთნიდენ ჯარებს, ხსნიდენ იქ ქარხნებს, ზრუნავდენ ქვეყნის აღორძინებისათვის... განა ჩვენ არა ვართ წინააღმდეგი ღია კარებისა—განმარტავს ტოკიო ყრუთ—, საქონლის გატანსა შეტანის, მაგრამ, როცა ვხედავთ, რომ ჩინეთს გარედან საომრად ამზადებენ, ეს მოასწავებს მშვიდობიანობის დარღვევის მუქარას უშუალოდ ჩვენთვის, რასაც ვერ მოვიტმენთ, რადგან ერთად ერთი ომისგან დამზღვევი ძალა ჩვენა ვართ აქ.



პირველნი, ვინც ახმაურდნენ, იყვნენ, რა თქმა უნდა, ვაშინგტონი და ლონდონი, მათი ინტერესები ისე დიდია შორეულ აღმოსავლეთში, რომ უყურადღებოთ ვერ დატოვებდნენ ტოკიოს განცხადებას. მათი პრესა ლელავს: იაპონია არ დასჯერდა მანჯურეის, ესლა თვით ჩინეთზე ავრცელებს თავის პროტექტორატსო. ოფიციალური წრეები თავშეკავებულია, ჯერ ტოკიოს საგარეო სამინისტრო არაფერს გვწერსო, თუმცა კაბინეტებში გამუდმებული თათბირია იმის შესახებ, როგორი ხაზი აიღონ.

თათბირობენ უქვევლათ მოსკოვშიც, თუმცა პრესა არ ხმაურობს, და ეს თითქმის იმის მომასწავებელია, რომ სტალინი ისევე გადაყლაპავს ჩინეთის ომს, როგორც მანჯურიის აბი გადაყლაპა. საინტერესოა, გაიმუშოს განცხადების უმაღლესი ცნობაც მოედო მსოფლიოს, ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის გაყიდვა უკვე რიგდებაო. ეს ალბათ ისე უნდა გავიგოთ, რომ მოსკოვმა მიიღო ერთგვარი დაპირება ტოკიოსაგან. რომ ამ დროებით მას არ ეშუქებინან, და ისიც წაუჩუმდა, მით უფრო, არ იცის, რა გამოვა ვაშინგტონის და ლონდონის ხმაურობისაგან.

არც შენევაა გულგრილათ, რადგან სწორეთ ერთა ლიგის ტექნიკური აპარატი დახმარებას უწევს ჩინეთს სხვადასხვა დარგში. რომმა დიდი ხანია ყურადღება მიექცია იაპონიის მუშაობას აბისინიაში. ბერლინმა ხომ თვით გენერალი ფონ სექტი გაგზავნა ნანკინში სამხედრო მრჩეველად. პარიზი თითქმის ნეიტრალობას იჩენს, მისი ოფიციალური «ტან» მეღანქოლიურათ დასკვნის: ევროპა-ამერიკა ისე ჩაფლულია შინაურ საქმეებში, იაპონია თავისას გაიტანსო.

იაპონიამ 1915 წ. ჩინეთს 21 თხელი მოახვია თავს და ვერ გაიტანა—ამბობს პრესა—. ესლა კი მეტი შანსები აქვს, მაგრამ აჩქარებას ნუ მოველით მისგან, ეს შეიძლება საცდელი ბურთი იყო, თუ დაინახა ლელოს ვერ გადის, უკან დაიხვესო. ტოკიო კვირობს: რას ხმაურობთ, ახალი აბა რა ვსთქვიო!

ჩინეთის თურქესტანი.

სანამ საკუთარ ჩინეთის ბედი გადაწყდებოდეს, მის ირგვლივ ვეება პროვინციები სცილდება მას. გარეთ მონღოლიაში მოსკოვი ბრძანებლობს, მანჯურიაში—იაპონია, ტიბეტში—ინგლისი, ჯერი მიდგა ჩინეთის თურქესტანზე და აქაც რუსეთი და ინგლისი ერთმანეთს ეჯიბრებიან.

არის მესამე მოჯიბრეც, არა ფიზიკური, არამედ იდეური, და ეს შეიძლება უფრო მძლავრი გამოდგეს! შე ვამბობ ეროვნულ მოძრაობაზე წყნარ ოკეანედან კავკასიონის ქედის გასწვრივ. ამ შემთხვევაში მხოლოდ აღსანიშნავია, რომ ჩინეთის თურქესტანში მცხოვრებნი მოდგმით. ენით, სარწმუნოებით ენათესავებიან საბჭოთა თურქესტანის მცხოვრებთ და პირველში დანთებული ცეცხლი იოლათ გადაქრლავს მეორეში. მოსკოვიც ამიტომ დიდ საქმიანობას იჩენს, რომ ხიფათი თავიდან აიცილოს. პრესა იუწყება, მისმა გავლენამ დაჩრდილა ინგლისის გავლენა, შედის შიდა არა მარტო იარაღით, ფარულითაცო.

თვით თურქესტანელი ჯერ არ არიან გაერთიანებულნი, ერთმანეთსაც ებრძვიან და ცალკე ბანაკებს ძველი სიუხერენი ჩინეთი, საბჭოები თუ ინგლისი აქეზებენ და ეხმარებიან. კაშგარში რესპუბლიკაც გამოაცხადეს და გაჭი ქემალს მიესალმენ, აბდულჰამიდის ერთ ერთი შვილიც სარდლობას ჩემულობს, მაგრამ გადამწყვეტი ჯერ არაფერი მომხდარა. უფრო მოსალოდნელია, თუ ომმა იფეთქა შორეულ აღმოსავლეთში, ორივე თურქესტანის ეროვნული მოძრაობა გადაებმის საბჭოთა კავშირის სხვა ჩაგრულ ერთა განმათავისუფლებელ მოძრაობას და ვინ იცის კიდევ სად მიახეთქს მისი ზვირთები.

ბალტიის პაქტი.

მოსკოვი კი პაქტებით განაგრძობს მოსალოდნელ მტრების მოგერებას. პაქტი მას უკვე დადებული ჰქონდა ლიტვა, ლატვია, ესტონია, ფინლანდიასთან. მაგრამ მას ვადა გაუღიოდა 1935 წ. და ამიტომ მოითხოვა მისი გაგრძელება კიდევ ათი წლით 1945 წლამდე, რაზედაც დათანხმდნენ მეზობლები. საგულისხმიერო აქ ის არის, რომ დიდი სახელმწიფო, ხმელეთის მეექვსედი, მიმართავს თხოვნით პატარა სახელმწიფოებს კიდევ ათი წელიწადი ერთმანეთს თავს ნუ დავესხმითო!

რასაკვირველია, მოსკოვს ისინი არა ჰყავს სახეში, არამედ გერმანია, და ეს კი მართლა არ უყურებს მას კარგი თვალთ. გერმანია პოლონეთს უახლოვდება, მაგრამ ძველი ზვაც არ ავიწყდება, რუსეთისკენ მიმავალი—ბალტიკა. მშვიდობიანობის დროს საეჭვოა ამ გზით ისარგებლოს, ხოლო ომის დროს ცდუნება დიდია, აქედან მოსკოვის ქალაქის ხმალიც, პაქტად წოდებული. ლიტვინოვს მართლა შეუძლია თავი მოიწონოს.

წერილი ახმერიკიდან

რადიკალიზმი (მემარცხენეობა, კომუნისტობა), როგორც ხენის გამკურნებელი.

მკითხველმა არ იფიქროს, რომ ქვემო მოყვანილი ცნობა დაწერილია ხუმრობით, ან მოგონილია ბოლშევიკებისადმი სიძულვილით. არა, ეს არის მეცნიერულ-ფსიქიატრულ გამოკვლევის და დაკვირვების შედეგები.

4 მარტის «ნიორკის ტაიმისს» გადმოცემით ქალაქ ნიუორკში იყო გამართული სამი დღით კონფერენცია ჩრდილო-აღმოსავლეთ შეერთებულ შტატების პრესბიტერიან საავადმყოფოების ექიმების და ამერიკელ საავადმყოფო საზოგადო მოღვაწეების ასოციაციის. კრებას დაესწრო 300-მდე დელეგატი. ამ კონფერენციაზე ქან დოროთი გილბერტმა წაიკითხა მოხსენება. რომელშიც ახსნა ახალი საშვალეებით მორჩენა ავადმყოფისა, და რომელსაც მან უწოდა «რადიკალური ტერაპია».

«საავადმყოფოს სულით და ნერვებით ავადმყოფებზე, რომელნიც ორგანიულადაც იყვნენ დაავადებული, ვერავითარმა წამალმა ვერ იმოქმედა. ასეთი

ჯურის ავადმყოფნი იყვნენ უფრო დებრსისის მსხვერპლნი და მათში ძლიერი იყო უკმაყოფილება არსებულ სოციალურ წესწყობილების წინააღმდეგ. ერთ დღეს ჩვენ ფსიქიატრს მოუვიდა ახრად ავადმყოფნი წაყვანა ბოლშევიკების მიტინგზე. აქ ზოგიერთი ავადმყოფები შეუერთდნენ კომუნისტების ორატორებს და თვითონაც ილაპარაკეს არსებულ სოციალურ უსამართლობის წინააღმდეგ. ბევრი მათგანი პარტიანიც ჩაეწერა და ასე კარი გაუღო მის გულში დაგროვილ ბოლშას. ამან იქონია ზედმიწევნით კარგი გავლენა ავადმყოფობაზე და ბევრი მათგანი განკურნა», დაასკვნა ქ-ნმა გილბერტმა.

მკითხველო, გაიხსენებ თქვენი ნაცნობ ბოლშევიკების (ალბათ ყველას გვეყავდა თითო-ორი) ხასიათი, მოქცევა, მსჯელობა.—არ განირჩეოდნენ არა კომუნისტებისგან? ავიღოთ მაგალითად პეტრე გელეიშვილი. ჩვენ გვახსოვს—ის იყო 1919-ში და 1920-ში ავადმყოფი, ნერვებ აშლილი, რომელსაც ერთი წინადადების თქმა არ შეეძლო აუღელვებლად. გულის მოუსვლელად—ალბად განიკურნა კომუნისტების ხელში. ფილიპე მხარაძე კი მუდამ კარგად იყო, რადგან აქტიურად სთესავდა სიმუღლილს სამშობლოს წინააღმდეგ და ამით თავის ბოლშას ანელებდა, თუმცა ხანდისხან ლაპარაკის სიძნელე გულს უსიებდა და წვერს აგლეჯინებდა.

მეტად საყურადღებოა ექიმობის ეს «ტერაპიული» მეთოდი.

რომ ჩვენმა ხალხმა თავიდან აიცილოს ამ გვარი ავადმყოფობა, საჭიროა მათი მოქმედება და რისხვა მიმართული იქნეს მათთვის არა ჩვეულებრივ სოციალურ-პოლიტიკურ რეჟიმის წინააღმდეგ.

სიფრთხილე საბჭოებთან ვაჭრობაში.

ამერიკის ეროვნულ სავაჭრო საზოგადოების პრეზიდენტმა ჯეიმს ფარრელმა 4 მარტის «ნიუორკის ტაიმსის» ცნობით მოხსენება გაუგზავნა მთავრობას, რომელში მას აფრთხილებს, რომ საბჭოებთან ვაჭრობა დროებითია, არარეგულიარულია და ამიტომ ყოველივე ზომები უნდა იქნეს მიღებული, რომ არ შესუსტდეს ის სავაჭრო ურთიერთობა და კავშირი, რომელიც უცხოეთის სხვა ბაზრებთან ქონდა და დღემდეც აქვს ჩვენს ქვეყანას.

ეს მოხსენება დაბეჭდილია ცალკე წიგნაკად და ეგზავნება ყველა წევრებს საქონლმდებლო კონგრესისა (სენატი და ქვედა პალატა), ყველა ადმინისტრატიული ხელმძღვანელთ და ექსპორტიორებს. ბ. ფარრელი ამბობს, რომ რუსეთი ცდილობს თავის წარმოებით დაკმაყოფილდეს და ამიტომ მისი იმპორტი თანდათან კლებულობს: «ჩვენი ექსპორტი რუსეთისთვის 1931 წელს იყო 103.000.000 დოლარის; 1932 წელს ჩამოვიდა 12.320.275 დოლარამდე, ხოლო 1933 წელს კი 8.660.907 დოლარამდე».

ავტორს მოყავს მაგალითად დიდი ბრიტანეთის და იტალიის სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და საბუთებით ამტკიცებს, რომ ერთი წლის შემდეგ სავაჭრო ხელშეკრულების დადებისა ძალზე დაცემულა ამ ქვეყნების ექსპორტი, ხოლო საბჭოთა

კავშირის კი სავაჭრობლად გაზრდილა, რასაც შედეგათ მოყოლია ძველ ხელშეკრულებათა გაუქმება. ეს იმის მაჩვენებელია, რომ საბჭოებს მათი ფინანსური მდგომარეობის სიძნელე აიძულებს რაც შეიძლება მეტი გაიტანონ და ნაკლები იყიდონ. ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ მთავრობის ხელშია ვაჭრობის მონოპოლია. როგორც ეს ფაქტი, ისე კანადის გალაშქრება საბჭოების მიერ წარმოებულ დემპინგის წინააღმდეგ გვიკარნახებს, რომ შეერთებულმა შტატებმა დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ საბჭოებთან სავაჭრო ხელშეკრულების დადებაში. საჭიროა აღნიშნულ იყოს საგანი და რაოდენობა იმპორტისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ამას გვიჩვენებს დიდი ბრიტანეთის და იტალიის გამოცდილება, საბჭოები შეეცდებიან რაც შეიძლება მეტი შემოზიდონ და ნაკლები გაიტანონ. ასეთი რამედან დახლვეული უნდა ვიყოთ შესაფერისად მოფიქრებულ სავაჭრო ხელშეკრულებით.

მღვკვიდან გამაპარული ცნობა.

«ნიუორკის ტაიმსის» მოსკოვში მყოფი კორესპონდენტი ვოლტერ ღურანტი იტყობინება მუშების იქაურმატერიალურ მდგომარეობაზე. ღურანტმა 12 წელიწადი გაატარა კორესპონდენტად მოსკოვში. ფინკენშტეინის (ლიტვინოვის) პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე, პოლოგნიკმა რობინსონმა წარუდგინა საზოგადოებას ის პირები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს რუსეთ-ამერიკის დაახლოებას. მათ შორის იყო წარდგენილი ეს ვოლტერ ღურანტიც, როგორც «ერთ ერთი უდიდესი კორესპონდენტი». ნიუორკის ტაიმსმა მეორე დღეს სიამოვნებით შენიშნა, რომ მთელი საზოგადოება ადგა კორესპონდენტის პატივსაცემლად და ტაში დაუკრა მას. მოსკოვიდან მის მიერ მოწერილი კორესპონდენციები ახლა ცალკე წიგნადაც გამოვიდა. ამ ღურანტიმ ჩამოიყვანა ფინკენშტეინი და წაიყვანა ელჩი ბულლიტი. ასე რომ მისი ბოლშევიკებისადმი კეთილი განწყობილება საეჭვო არ არის და მით უმეტეს საინტერესოა მისი ცნობა. კორესპონდენტი ამბობს: «თავის სიტყვაში ორჯონიკიძემ მეჩვიდმეტე კონგრესს სხვათა შორის ასე მიმართა—«მითხარით, რატომ ამეოიკელი მუშა უფრო კარგად უნდა მუშაობდეს ფორდის ან სხვა კაპიტალისტისთვის, ვიდრე ჩვენი მუშა თავის პროლეტარულ ქვეყნისთვის?» (აქ ღურანტი შენიშნავს, რომ ამერიკელი მუშა ოთხჯერ უკეთ და მეტს მუშაობს). კომისარმა თვითონ მიუთო ამ კითხვას, რომ «ორგანიზაცია არის მიზეზი». ღურანტი განავრძობს: «შეიძლება ორგანიზაციასაც ქონდეს რამე წილი, მაგრამ ამის სწორ და ნამდვილ მიზეზის ახსნას სტალინის სიტყვაში ვპოულობთ. მან განაცხადა (კვეხნით), რომ «ინდუსტრიის მუშა ეხლა 125 მანეთს ღებულობს თვეში». ღურანტი უმატებს: «ბოლშევიკებს მოეწონებათ ეს, თუ არა, მაინც უნდა ვთქვა, რომ ეს 125 მანეთი აქაურ ბაზარზე იყიდის იმდენს რამდენსაც სამი დოლარი ამერიკაში; ეს არის ნამდვილი პასუხი ორჯონიკიძის კითხვაზე» (მკითხველი ინფორმაციისთვის უნდა აღვნიშნოთ, რომ შეერთებულ შტატებში შავი მუშის სა-



შვალო დღიური ქირა არის 5-6 დოლარი, ხოლო დურგალი, მღებავი, ქვის ოსტატი და სხვა გაწოთვნილი მუშა ღებულობს 10-12 დოლარს დღეში).

«საზღვარ გარეთელისთვის გასაკვირია, — განაგრძობს დურანტი, — რომ რუსები კმაყოფილებიან ამისთანა მცირე ხელფასითო. მაგრამ სამი ფაქტორი ხსნის ამას: ერთი ისტორიული — რუსებს არასოდეს არ ქონიათ უკეთესი მდგომარეობა, საცხოვრებელი სტანდარტი რუსებისა მუდამ იყო დაუჯერებლად დაბალი. მეორე არის ფსიქოლოგიური: 12 წლის ინტენსიური პრეპარანდის მერე მათ ჯერათ, რომ ისენი მიუშაობენ არა სხვისთვის, არამედ თავისთვის; და მესამე: იმედები, იმედები მომავლისა». დურანტი არ ამბობს რის იმედები აქვს რუსეთის ხალხს. ალბათ, — დაუმატებთ ჩვენ, — ხალხს იმედი აქვს, რომ ახლო მომავალში «ან ვირი მოკვდება და ან ვირის პატრონი».

ნაურთ.

ამერიკელი უელსი საბჭო. კავშ. ზმსახეზ

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან ინგლისელ გამოჩენილ მრწერლის უელსის ბოლშევიზანობა და ის ხოტბა, რომელიც მან შეასხა რუსულ პრიმიტიულ კომუნისმს. ამ უკანასკნელად საბჭოთა კავშირს ეწვია მეორე უელსი — ახალგაზდა ამერიკელი ჟურნალისტი. ამ საზღაპრო «სოციალისტურ ქვეყნის» გაცნობამდე, ეს ახალგაზდა უელსიც ბოლშევიზანურათ ყოფილა განწყობილი და სიხარულით გამგზავრებულა «აღთქმის» სამეფოში.

დაბრუნების შემდეგ ამ ჟურნალისტმა გამოსცა წიგნი საბჭოთა კავშირზე, რომელსაც სახელად ქვია «კაპუტ», რაც ნიშნავს: ყოველივე გათავებულია, ყველაფერი ინგრევა, კატასტროფა და აღსასრული აუცილებელია. ამ წიგნში ავტორი ავგვიწერს, რომ ტურისტების ის ჯგუფი, რომელშიაც ისიც ირიცხებოდა, მოსკოვში მიუღიათ საზღაპროდ მოწყობილ სასტუმროში: საუცხოო რესტორანი, სულის წარმტაცი მუსიკა, გადაპარბებული ყურადღება. იქვე რჩეული ავტომობილი, რომლითაც სტუმრებს დაატარებდენ საგანგებოდ მოწყობილ მუზეუმებში, სკოლებში, საავადმყოფოებში და სხვ. სამი დღის სტუმრობის შემდეგ პატივისცემითა და ყურადღებით ნასიამოვნები სტუმრები ბრუნდებიან უკან; რჩება მხოლოდ ერთი უელსი, რომელიც ისე წარიტაცა ნახულმა და გიდების ნაამბობმა, რომ გადასწყვიტა ცოტახანს კიდევ დარჩენილიყო და ბოლომდე დამტკბარიყო «სოციალისტური ქვეყნის» მიღწევებით. მაგრამ მის განცვიფრებას საზღვარი არ ქონია, როდესაც ტურისტების უკან გაბრუნების მეორე დღით თავის ოთახიდან გამოძვრალა და უდაბნოთ ქცეული სასტუმრო დახვედრია წინ: არც რესტორანი, არც მუსიკა და არც ყურადღებით სავსე მოსამსახურენი. მთელ სასტუმროში ძლივს უნახავს ერთი მსახური, რომელიც პოლების წმენდაში ყოფილა გართული. ამერიკელ ჟურნალისტს ამ მსახურიდან გაუგია, რომ ეგ სასტუმრო დანიშნულია სპე-

ციალურად ტურისტებისთვის, ხოლო ტურისტების უკან გამგზავრების შემდეგ იგი იხურება და შიგ კაცი ვერ იშვავს ვერც საჭმელსა და ვერც სასმელს. უსაუზმოთ დარჩენილ ტურისტისათვის მსახურს მიუსწავლებია ტურისტების ბიურო, რომელიც ქალაქის მეორე ბოლოში ყოფილა. ჟურნალისტს არც ავტომობილი დახვედრია სასტუმროს კარებთან, ვერც ბირჟის ავტომობილი უპოვია და იძულებული გამხდარა ფეხით წასულიყო ტურისტების მიმღებ ბიუროში. დიდი ვაივაგლახისა და ახსნა განმარტების შემდეგ ბიუროში მისთვის მიუციათ სასურსათო ბარათი, რომლითაც მას შეეძლებოდა ეყიდა სურსათი. დილის საუზმისთვის ძლივს უშოვია ჩაი ურძეოთ და ულიმონოთ, ერთი პატარა ნაჭერი საძაგელი შავი პური და ნამცეცი ყველი, რომელიც პირში აღარ ჩაიშვებოდა. მოშიებულ ჟურნალისტს ის და დარჩენია, რომ ინგლისის საკანსულოში მიემართა და დახმარება ეთხოვა. აქ მას გაუგია, რომ კარგი სანოვანის შოვა მხოლოდ კომუნისტების კლუბში შეიძლება.

ამ გარემოებით თვალ ახილული ჟურნალისტი კიდევ რამდენიმე დღე დარჩენილა მოსკოვში და შემდეგ გამგზავრებულა სხვა ქალაქების დასათვალიერებლათ. უკრაინაში მას უნახავს სრულიად ტიტველი ბავშვები, რომლებიც პირუტყვეებსავით ბალახს ძოვდენ თურმე, უნახავს სოფელი, რომელიც მხოლოდ «მათხოვრებით ყოფილა დასახლებული» და მოწმე ყოფილა ერთი პატარა ნატეხი გამხმარ პურისათვის გაჩაღებულ სასიკვდილო ჩხუბისა.

ასეთივე სურათი დახვედრია კავკასიაშიც. ერთ ქალაქში ის სწვევია საავადმყოფოს, სადაც ქირურგები ქლორაფორმის უქონლობის გამო ავადმყოფთ ოპერაციას დაუძინებლათ უკეთებდენ. — საოპერაციო დანის ქვეშ მყოფ ავადმყოფების შემხარავი ყვირილი შორს ისისის, უმეტეს შემთხვევაში ავადმყოფი ვერ უძლებს ტკივილებს და კვდებაო, — იუწყება ჟურნალისტი. მაგრამ ყველაზე უფრო ტრალიკულათ მას ის მიაჩნია, რომ მის მიერ მოვლილ ქვეყნების ახალგაზდაობა არ იცნობს ცხვრების ნორმალურ პირობებს და წარმოდგენა არა აქვს თუ როგორ ცხოვრობენ სხვა ქვეყნებში.

უკრაინელთა შორის

ბრალში მოხდა უკრაინელ ემიგრანტთა მესამე კონგრესი. კონგრესს დაესწრენ უკრაინულ ორგანიზაციათა დელეგატები ბელგიიდან, ბულგარეთიდან, საფრანგეთიდან, ლიუქსემბურგიდან, პოლონეთიდან, რუმინიიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და თურქეთიდან.

კონგრესმა განიხილა უკრაინელ ემიგრანტთა ნივთიერი და კულტურული ხასიათის საკითხები, რის შემდეგ გამოტანილ იქნა უკრაინის დღევანდელ მდგომარეობის შესახებ შემდეგი რეზოლიუცია:

«უკრაინელ ემიგრანტთა უმაღლეს საბჭოს მესამე კონგრესი უკრაინის ყველა პოლიტიკურ ემიგრანტთა და ორგანიზაციების სახელით სასტიკ პრო-

ტესტს აცხადებს იმ კრიმინალურ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავს კატასტროფიული სიმშვილის და მილიონ მცხოვრებთა სიკვდილის.

იგი პროტესტს აცხადებს იმ საშინელი რეპრესიების წინააღმდეგ, რომელთა მსხვერპლი ხდება ყოველი უკრაინელი, გაბედულად და თავდადებით მებრძოლი უკრაინის დამოუკიდებლობისათვის.

მესამე კონგრესი მოუწოდებს როგორც ყველა ემიგრანტებს. ისე უკრაინის ყველა მოქალაქეთ შემოკრბენ სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ირგვლივ.

კონგრესი, აცხადებს რა სასტიკ პროტესტს უკრაინის ყოველნაირ ახალ დაყოფის წინააღმდეგ, მითხრავს უკრაინის დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაარსებას.

კონგრესი სავსებით უჭერს მხარს უკრაინის დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას იმ ბრძოლაში, რომელსაც მიზნად აქვს უკრაინის მოსკოვისაგან გამოყოფა.

მესამე კონგრესი ორგანიზაციულად დარაზმულ ემიგრაციის სახელით სალამს უძღვნის როგორც ყველა უკრაინელ მოქალაქეთ. აგრეთვე ყველა მეზობლებს და სავსებით მხარს უჭერს მათ ბრძოლას ეროვნულ კეთილდღეობისათვის.

მესამე კონგრესი სალამს უგზავნის აგრეთვე შეერთებულ შტატების და კანადის მოქალაქეთ, რომლებმაც ენერგიული პროტესტი განაცხადეს ტერორითა და შიმშილით უკრაინის უკიდურეს მდგომარეობაში ჩაგდების წინააღმდეგ.

კომუნისტურ პარტიის მეჩვიდმეტე ყრილობის დადგენილებით უკრაინის წარმოების და შრომის პირობების კონტროლი გადაეცა საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მოსკოვში. ცხადია ეს დადგენილება უკრაინის ადგილობრივ ხელისუფლებისადმი უნდობლობის მაჩვენებელია, რომელსაც უსაყვედურებენ გემის არ შესრულებას როგორც მიწად-მოქმედების ისე ინდუსტრიის ყველა დარგში.

მიუხედავად ამისა მდგომარეობას გაუმჯობესება არ ეტყობა. თესვის კამპანია მიმდინარეობს უარეს პირობებში. ზოგან თესლი სულ არ არის, ზოგან სრულიად უვარგისია. ეს იწვევს ნათესების სივრცის შემცირებას, რასაც მომავალ წლისთვის აუცილებლად მოყვება შიმშილის ახალი ტალღა.

თურქეთის ცხოვრება

მუსოლინის სიტყვამ, რომ იტალიის ექსპანსია შეიძლება მხოლოდ აზიისა და აფრიკეთისაკენ, დიდი მღელვარება გამოიწვია თურქეთში. მუსოლინიმა განუცხადა თურქის ელჩს, რომ თურქეთს მე ვეროპიულ სახელმწიფოდ ვთვლი და ცხადია თურქეთს არავითარ შემთხვევაში არ ვგულისხმობდი. მაგრამ ამ განცხადებამ თურქნი, ეტყობა, არ დააკმაყოფილა.

განეთებმა მრავალი წერილი დასტამბეს მოსალოდნელ საფრთხის შესახებ და ამბობდნენ, რომ უნდა მზად ვიყვნეთ. ამ ვარაუდებითაა ალბად გამოწვეული, რომ ქემალ ფაშამ სმირნასა და მის რაიონში იმოგზაურა და იქაური ჯარები დაათვალიერა. ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული, რომ ძალიან ახმაურდენ თურქები ამ ბოლო დროს დარდანელის შესახებ და მოითხოვენ. რომ იგი უნდა გადავიდეს თურქეთის სრულ განკარგულებაში და არავითარ შეზღუდვას, დემილიტარიზაციას იქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

— თურქული განეთების სიტყვით, ამ ზაფხულზე პერიო კვლავ აპირებს თურქეთში მოგზაურობას.

— სპარსეთის შაჰს მოელიან ანკარაში იგნისის დამდევს. იგი ავტომობილით ჩავა ტრაპიზონში, იქიდან გემზე სამხედრო გემებით თანხლებული მივა სამშენში და იქიდან სავანგებო მატარებელი წაიყვანს ანკარაში.

— სმირნაში პასეკის დღესასწაულის დროს ებრაელთა თორებში ლოცვები თურქულ ენაზე იყო წარმოთქმული.

ქართველები ბერძენიაში

25 მარტს, ბერლინის ქართულ კოლონიის კრებაზე გააკეთა მოხსენება «საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობაზე» ბნმა კირილე კაკაბაძემ, «საქართველოს საბჭოთა მთავრობის» ყოფილმა წევრმა, რომელიც უკანასკნელ წლებში ცხოვრობდა ბერლინში, როგორც მარჯანცის საქმის წარმომადგენელი და რომელიც ამ რამოდენიმე თვის წინ საბოლოოდ გამოორდა საქართველოს ოკუპანტთა ბანაკს და გადმოვიდა ემიგრანტთა წრეში. თავის მოხსენებაში ბ. კაკაბაძემ გააკეთა მიმოხილვა საქართველოს დაპყრობიდან დაწყებული დღევანდელ დღემდის. მან ფარდა ახადა მოსკოვის იმპერიალისტურ და რეაქციონურ პოლიტიკას, მის მიერ ქართველი ერის ბარბაროსულად გაყლევა-გაჩანაგებას. მან მოუთხრო მსმენელ კომუნისტური პარტიის შინაგან სიდუხჭირეებზე და იმ შინაპარტიულ ბრძოლაზე, რომელიც გაჩაღებულია ოპოზიციონურად განწყობილი ქართველი თუ სხვა ეროვნების კომუნისტებსა და მოსკოვის ყურმოქრილ მონების შორის.


მეტად შინაარსიანი მოხსენება დიდის ინტერესით იქნა მოსმენილი საზოგადოების მიერ.

ნ.

პოლ ადამი

ქართველ ერს ჰყავს ბევრი ისეთი მეგობრები, რომლებიც მის საქმეს დიდ სამსახურს უწევენ, ხოლო ქართველმა ერმა კი დღევანდელი უკუღმართი პირობების გამო მათი სახელიც კი არ იცის.

ასეთ მეგობართა კატეგორიას ეკუთვნის პოლ ადამი, რომელიც მთელი ათი წლის განმავლობაში დაუფასებელ სამსახურს უწევდა ქართულ საქმეს.



ყოველივე ცნობას, მიღებულს ქართულ პრეს-ბიუროდან. თუ სხვა წყაროდან საქართველოს შესახებ დაუყონებლივ აწვდიდა როგორც ქენევის, ისე უცხოეთის იმ გაზეთებს, რომელთა თანამშრომელი ის იყო. ყოველი მისი სიტყვა საქართველოს შესახებ დიდს სიმპატიითა და თანაგრძნობით იყო გამსჭვალული.

ეს უანგარო მეგობარი მოკლე ხნის ავთმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 24 მარტს. საქართველოს წარმომადგენელმა ქენევაში ხ. შავიშვილმა თანაგრძნობა გამოუცხადა მის ოჯახს ჩვენი ერის სახელით. ის დაესწრო აგრეთვე მის დასაფლავებას, რომელსაც ადგილი ქონდა 26 მარტს.

პრივატდოქტორი სპ. გუაძე

გერმანიაში, ქ. პალეში გარდაიცვალა ახალგაზდა ქართველი მეცნიერი სევერიაან ბუაძე. ის 1920 წელს ჩამოვიდა გერმანიაში და შეუდგა სწავლას პალეს უნივერსიტეტის მედიკურ ფაკულტეტზე. 1925 წელს მან ჩააბარა სადოქტორო გამოცდა, რის შემდეგაც ის კვლავ განაგრძობდა იმავე უნივერსიტეტში მეცნიერულ მუშაობას. 1932 წელს ს. ბუაძე განდა პრივატდოქტორი და მას აქეთ კითხულობდა ლექციებს მედიცინის სხვადასხვა დარგებიდან. მოულოდნელმა სიკვდილმა (ფილტვების ანთების და გულის სისუსტის ნიადაგზე) უდროოდ გამოასალმა წუთისოფელს ეს ერთი უბრალო ღარიბი ქართველი ოჯახიდან გამოსული არაჩვეულებრივი ნიჭით დაჯილდოვებული ახალგაზდა, რომელიც თავისი ბეჭითი და კეთილსინდისიერი მუშაობით ჯერ კიდევ ბევრ სარგებლობას მოუტანდა როგორც მეცნიერებას, ისე მის მიერ ღრმად შეყვარებულს ჩვენს დატანჯულ სამშობლოს. მისი ხსოვნა უკვდავი იქნება მის თანამემამულეთა შორის.

დასაფლავება მოხდა 3 მარტს ქ. პალეში უნივერსიტეტის მხურვალე მონაწილეობით.

ბერლინის ქართველობამ გამართა მისი ხსოვნის პატივსაცემად გამოსათხოვარი დღე.

ნ.

წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულ რედაქტორ!

გთხოვთ უმორჩილესათ მოათავსოთ თქვენ პატივცემულ ჟურნალში შემდეგი.

საფრანგეთში გამოდის ქართულ ენაზე ჟურნალი «მხედარი», საზოგადოების ზოგიერთ წევრთ ჰგონიათ, რომ ეგ ჟურნალი არის საფრანგეთში მყოფ ქართველ ყოფილ მეომართა ორგანო და საყვიდურით მომართავენ ამ უქანასკნელს შიგ მოთავსებულ ზოგიერთ წერილების გამო.

ამით ვაფუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ეგ ჟურნალი არ არის ზევით დასახელებულ

ასოციაციის ორგანო და არავითარი კავშირი არ აქვს მის რედაქციასთან მართალია მხედრის მე-14 ნომერში დაიბეჭდა ასოციაციის ორი წევრის—ბ. ვ. ცხაკაიას და ბ. ა. კვიციანიშვილის—წერილები, რომელთა მიმართ რედაქციამ გამოიჩინა სტუმართმოყვარეობა, მაგრამ ეგ იყო სრულიად შემთხვევითი და ერთდროული სარგებლობა დასახელებული ქურნალით.

პატივისცემით საფრანგეთში მყოფ ქართველ ყოფილ მეომართა ასოციაციის თავმჯდომარე ვიქტორ ცხაკაია.

17 აპრილი 1934 წ.
პარიზი.

მ ო წ ო ღ ე ბ ა

უცხოეთში გადმოხვეწილ ქართველების მიმართ.

თანამემამულენო!

თქვენ კარგად მოგეხსენებათ თუ რა დიდ გაჭირვებას განიცდის ამ უქანასკნელ ხანებში უცხოეთში გადმოხვეწილი ქართველობა. საერთო ეკონომიური კრიზისის გამო ბევრი დარჩა უადგილოდ და უმუშევრათ. საყვარელ სამშობლო ქვეყანას და ძვირფას მახლობელ ადამიანებზე მოწყვეტას თან დაერთო ნივთიერი გაჭირვება და მისი თანამგზავრი მორალური დეპრესია და მრავალგვარი ავადმყოფობანი.

ამ უქანასკნელად მეტად გახშირდა სიკვდილი; თვე ისე არ გაივლის, რომ ორი-სამი გადმოხვეწილი თანამემამულე არ მივებაროთ უცხო მიწას თავისი მშობლებისა და ნათესავ-მეგობრების დაუთურებლად. განსაკუთრებით სიკვდილი წვდა ახალგაზდაობას. ჩვენი ქვეყნის ამ მომავალსა და იმდეს. ჩვილი და მგრძნობიარე ახალგაზდაობა ვერ უძლებს მორალურ დეპრესიას და ნივთიერ გაჭირვებას. ზოგ მათგანს ავადმყოფობა ასაღმებს წუთისოფელს, ზოგიც სასოწარკვეთილებად ივარდება, მომავლის პერსპექტივებს კარგავს და თავისი ხელით ისაბობს სიცოცხლეს. მდგომარეობა იმდენად საშიშია, რომ არ შეიძლება მან არ დააფიქროს ყოველი ქართველი, რომელსაც ოდნავ მაინც კი შერჩენია კაცთმოყვარული გრძნობა და სიყვარული თავის თანამემამულის მიმართ. ცხადია, რომ საჭიროა დაუყონებლივი ზომების მიღება ამ ეროვნულ უბედურების წინააღმდეგ; ყოველივე დაყოვნება მიუტოვებელი დანაშაული იქნება ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნისა და ერის წინაშე.

დღემდე მარტოდ-მარტო ჭლებით ავთმყოფთა დამხმარე საზოგადოება ზრუნავდა და ზრუნავს მიიმე ავადმყოფებზე, ესმარებოდა და ესმარება ყოველგვარ სენით დაავადებულთ, მაგრამ ერთი ორგანიზაციის შესაძლებლობასა და ძალღონეს ბევრად აღემატება დღევანდელი უბედურების თავის მოვლა და გაჭირვებულთა მდგომარეობის შემსუბუქება. მდგო-

მარეობის გარდაუვალი კარნახია, რომ ყველა ქართულმა ორგანიზაციებმა და თვითუღმა ქართველმა ცალკე მხურვალე მონაწილეობა მიიღონ თავზე დატენილ უბედურების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ მიზნის უკეთ მისაღწევად პარიზში არსებულ ყველა ქართულ ეროვნულ და კულტურულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების კრებამ დაარსა ქართველ ახალგაზდათა დამხმარე ორგანიზაცია, რომელიც შეადგენს ჯლექ. დაავად. საზოგადოების კომიტეტის ცალკე სექციას. ამ სექციის ერთადერთი მიზანია სწრაფი დახმარება—როგორც მორალური, ისე ნივთიერი—აღმოუჩინოს დროებით გაქვირებაში ჩავარდნილ ჩვენს თანამემამულე ახალგაზდებს. ყველა ორგანიზაციებმა თავი დაიბურავს ყოველთვიური გადასახადით ახალგაზდათა დამხმარე სექციის სასარგებლოდ; მაგრამ, ზედმეტია იმის განმარტება, რომ საკმაო არც ეს არის. საჭიროა ფართე საზოგადოების თანაგრძნობა და ნივთიერი დახმარება ფულით, ტანთსაცმელით და სანოვავით.

ამ მიზნით ჩვენ მივმართავთ ყველა ქართველს—საფრანგეთში და მის გარეთ—ვისაც კი რამე გააჩნია გაიღონ თავისი წვლილი ამ ეროვნულ მნიშვნელობის საქმისათვის, მოაწოდონ როგორც ერთდროულნი, ისე ყოველთვიური დახმარება ახლად დაარსებულ სექციას; აგრძნობონ ჩვენს ახალგაზდობას, რომ ისინი არ არიან მარტონი და დავიწყებულნი, რომ მათზე ფიქრობენ და ზრუნავენ მათი უფროსი დები და ძმები. მცირე დახმარება და თბილი გრძობა ცხოველმყოფელ სულს ჩაბერავს ჩვენს გაქვირებულ ახალგაზდობას, მორალურად აამაღლებს, სულიერად განამტკიცებს და ფიზიკურათ გააჯანსაღებს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არ გამოჩნდება არც ერთი ქართველი, რომელიც ყურად არ იღებს ჩვენს მოწოდებას, რომელიც გულგრილობას გამოიჩენს თავისი გაქვირებულ ახალგაზდა თანამემამულის მიმართ.

თანამემამულენო, მოვიხადოთ ჩვენი ვალი ქვეყნისა და ერის წინაშე, დაუყოვნებლივ მივაწოდოთ ჩვენი წვლილი ახლად დაარსებულ სექციას შემდეგი მისამართით:

Monsieur V. Hambachidzé.

11, rue du Chmin-Vert. Courbevoie (Seine).

- 1) ჯლექ. ავად. დამ. სახ. კომიტეტი.
- 2) ქართული ვკლდინის გამგეობა.
- 3) ქურნალისტა საზოგ. გამგეობა.
- 4) ქარ. ყოფ. მეღმართა ახციავ. გამგეობა.
- 5) ქართული მრევლის წარმომადგენლობა.
- 6) მღვდელთა კავშირის გამგეობა.
- 7) «შეგანდენის» გამგეობა.
- 8) ახალგაზდათა კავშირის გამგეობა.

მოკლე დრემი ს. ფიტცსალაგა
გაავითებს საჯარო მღვსენებას

აგავთა და საქმეთა მოლოდინში

I. საქართველოს პოლიტიკა წარსულში დამოკიდებული იყო საგარეო ვითარებაზე. ასეა დღესაც.—დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა. კრიზისები—ეკონომიური, პოლიტიკური, ტერიტორიული, რეჟიმის, რასიული, ზავის და სხ. კრიზისი მორალური.—ამის წარმოშობა: დიდი ომი, ბლოშევიზმი.—პიროვნება და კოლექტივი. პიროვნული თავისუფლება და ეროვნული თავისუფლება.—ომი თუ მშვიდობიანი გამოსავალი.—თუ ომი მოხდა, როგორ სახეს მიიღებს. ბრძოლა დიქტატორების.—გამარჯვება რას დარჩება.—მთელი ქვეყნის ერების განთავისუფლება და ახალი კავშირი ყველა თავისუფალ ერისა, სხვა გზა არაა მშვიდობიანობისთვის.

II. საქართველოს საკითხი—დამოუკიდებლობა. ამის ისტორიული ასპექტი, განთავისუფლება მთელი ჩვენი ისტორიის პრობლემა.—ხელის შემწყობი პირობები და დაბრკოლებანი: საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა.—ქართველი ერი, ცდა მისი სულიერი ტიპიური თვისებების გარკვევისა. ესკურსია ისტორიაში: ერი დაღმინებაში, ერი გაქირვებაში. მე-XI-XII სს. და მე-XVI-XVIII სს.—რაა საჭირო თავისუფლების მოსაპოვებლად და დასაცავად: ურყევი ნებისყოფა ერის, ფიზიკური ბრძოლა, საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრი, დამხმარენი, მოკავშირენი.—კავკასიის ერთობის საკითხი—ამის ავი და კარგი.—ეროვნული ხელმძღვანელობა, რა თვისებები სჭირია მას.—განთავისუფლებული საქართველოს ახლობელი პროგრამა.—სიმწლე და სიმძიმე ჩვენი საკითხისა. დასკვნა: ალარმისტული ფიქრები. Caveant georgiani ne quid detrimenti Georgia capiat! ფრთხილობდენ ქართველნი, რათა...

მღვსენების დღე და ადგილი გამღვსადებულ იქნება.



გამოვიდა და იყიდება დ. სელაძის
ახალი გამოცემა

მ ი თ რ ი ღ ა ტ ი

ტრაგედია რასინისა, თარგ. ფრ. გ. გვაზავასი.
ფასი ხუთი ფრანკი.

მზადდება მის მიერვე და გამოვა 26 მაისისათვის
ორი ახალი ქართული წიგნი:

1. ოცდაექვსი მაისი, ვლასა მგელაძისა.
2. ისტორიული ლანდები, ს. ფირცხალავასი.

მისამართი:

M-r D. Khéladzé
50, rue Fobourg du Temple. Paris (11)



გ ი ა ნ კ უ რ უ ი

«დამოუკიდებელი საქართველო» იყიდება
დ. ყელქელიანთან
93, Av. Ed. Vaillant, 93.